



გაზეთი გაეშალა
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

მაცნე

სამტრედიის

N17(9161)

20 ივნისი 2015 წელი

ფასი 50 თეთრი



თახადეომა თბილისს

2

ქართველებს ჭირი აერთიანებთ



3

კორმაღლეების აღსრულებული ქართული ოცნება

4 ჩვენს ყაყნი ვაჩით...

სვლილებები
2015 წლის ბიუჯეტი

3

მევიწიეთაჲს საჭირო და ღირებულო ჩამოგყავთ?



შეცდომა უბრა ვახსოვილეს...

7

6 ზურა უღვიძარაძე, ყოფილბიბლიოთეკის ბარბი...

8 ფუსფუსთან დაბრუნება - ჭობნარის სკოლა იმანე ჯავის სახელობისა



5

მე კაპუციონი
მივიღებ



თბილისი...



ლაშახელო ყველაზე!

ვუძღვნი მოხალისეებს

თვალში ცრემლი დამიშრა,
დატყნა თეთრი ყვავილი,
მსხვერპლად შეწირულია
დედის თეთრი მანდილი.
ცაზე მთვარე ატირდა,
ბოლმად იქცა მამული,
სად დაეკარგეთ დიმილი
სიყვარულით ნამული!
ამ დაქცეულ მიწაზე,
გადარულ ვერძზე
აქ მოგნახეთ, ბიჭებო,
ლამახელო ყველაზე!
გულის ფიცარს მოასკდა
შიგ ნაგუბი ვარამი,
სულში გაჩნდა იმედი
ლალი შთამომავლის.
ლოცვით მიველ ტაძარში
სანთელს ცრემლი ამშვენებს,
მიჭქრის ტატოს მერანი
ისევ ტატო აჭენებს.

განსაცემი

საგანგებო თათბირი

სრულიად საქართველო შესძრა თბილისში დატრიალებულმა ტრაგედიამ, რომელსაც ადამიანთა მსხვერპლი, მილიონობით ლარის ზარალი მოჰყვა.

საგანგებო რეჟიმით მუშაობენ სამთავრობო სტრუქტურები. შექმნილია მოხალისეთა რაზმები, რომლებიც სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილეობენ.

დალუპულთა ხსოვნისადმი პატივგებით, წუთიერი დუმილით დაიწყო საგანგებო თათბირი 16 ივნისს მუნიციპალიტეტის გამგეობაში, რომელსაც ბატონი ვალერიანე ფოცხვერია უძღვებოდა.

თათბირს ესწრებოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ნუგზარ ჯამბურია.

როგორც ყველა ჩვენგანი, მეც ვწუხვარ მომხდარის გამო, თანაუგრძნობ დალუპულთა ოჯახებს, მუნიციპალიტეტის გამგეობაში შეიქმნა საგანგებო შტაბი, რომელიც კვირის ბოლომდე იმუშავებს. მინდა ვთხოვო ჩემს წარმომადგენლებს ქალაქსა და სოფლებში, შექმნან ანალოგიური შტაბები, რომლებიც მოსახლეობისაგან მიიღებს პირველადი მოთხოვნების საგნებს, არამალფუჭებად პროდუქტებს, პიეიერურ საშუალებებს და ა. შ. ტანსაცმელზე მოთხოვნა არაა. — აღნიშნა გამგებელმა.

შტაბი მუნიციპალიტეტის გამგეობის პირველ სართულზე განთავსდება, მას თავად გამგებელი უხელმძღვანელებს, მის მოადგილესთან, ლიზა კრავიცივილიანთან ერთად. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა ტატა გოგუაძემ, ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის დირექტორმა ვეფხია ნადირაძემ აღნიშნეს, რომ დაგეგმილ კონცერტსა და საქმეებს საქველმოქმედო ხასიათს მიანიჭებენ, შემოსულ თანხას კი დაზარალებულთა დასახმარებლად გახსნილ შესაბამის ანგარიშზე გადარიცხავენ. მათ წინადადებებს შეკრებილი მოწონებით შეხვდნენ.

შტაბი შეულდა მუშაობას.

ლევან ბაგრაძე

თანადგობა თბილისს

თბილისის ტრაგედიას სამტრედიის მუნიციპალიტეტი აქტიურად გამოეხმაურა. ცალკეულმა დაწესებულებებმა ინიციატივა გამოიჩინეს, განსაცდელში მყოფ დედაქალაქელებისთვის სხვადასხვა სახით დახმარება გაეწიათ.

“სახლი თანადგომას” კლბატონები 17 ივნისის დილიდან შეუდგნენ სამზადისს, შეაგროვეს თანხა, რომლითაც საკვები პროდუქტები, სარეცხი და პიეიერური საშუალებები შეიძინეს.

მშვენიარ ბოხუა, “სახლი თანადგომას” დირექტორი: “13 ივნისის ტრაგედიამ, როგორც ყველა ადამიანი, მეც შემძრა. ვიზიარებ დალუპულთა ოჯახების სატკივარს ჩემი კოლექტივის სახელით. შემზარავი ფაქტი მოხდა 13 ივნისის ღამეს, რამაც დედაქალაქის გული გაანადგურა და 2 ათეული ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ჩვენი მათ დასახმარებლად მეტი არაფერის გაკეთება შეგვიძლია, თუ არა ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში ელემენტარული დახმარება გავუწიოთ განსაცდელში მყოფ მოსახლეობას”.

“სახლი თანადგომას” თანამშრომლებმა ჰუმანიტარული ტვირთი მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, კერძოდ, ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს სამსახურში მიიტანეს.

ნიკო ნახიძე



ქართველებს ჭირი პართიანებით

თბილისის სტიქიური უბედურების შედეგად დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ ჭრილობების მოშუშება კარგა ხანს გაუძნელდება. და არა მარტო თბილისს, მთელ საქართველოს. ახლა ფინანსური და მორალური თანადგომა დედაქალაქს და იმ ადამიანებს სჭირდებათ, საკუთარ ქვეყანაში უსახლკაროდ რომ აქცია სტიქიამ.

“ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის აქტივი გამოეხმაურა მთელი საქართველოს მასშტაბით დაწესებულ მოძრაობას. მათ აპანათები გაუგზავნეს დაზარალებულებს. “პირველ რიგში, სამხმარის ვუცხადებთ იმ ადამიანებს ოჯახებს, ვინც სტიქიას ემსხვერპლა. იგი ულამობელი იყო. ახლა მტყუნ-მართლის გარჩევას დრო ნამდვილად არ არის. ქართველებს ჭირი მართლაც გვაგრძნობს. ქართველ კაცს ადამიანობის ეს მთავარი თვისება დღემდე შემორჩა. თუ რაიმე სასიხარულო შეიძლება იყოს ამ მოვლენებში, ის გახლავთ, რომ ახალგაზრდები უყოყმანოდ დადგნენ იქ, სადაც ქვეყნისთვის ქარიშხალი ტრიალებდა. კიდევ ერთხელ დაამტკიცა საქართველომ, რომ გმირების ქვეყანაა. ჩვენი მორძალეული წვლილი “ნაციონალური მოძრაობის” წევრებმაც შევიტანეთ დაზარალებულთა დასახმარებლად. შევაგროვეთ ის პირველადი მოთხოვნის ნივთები, დედაქალაქის მერიამ რომ მიგვითითა. მაგალითს გადამდები ძალა აქვს და მჯერა, ბევრი შემოგვიერთდება.”

“ამ დღიდან ტრაგედიამ დიდ უბედურებასთან ერთად დაგვანახა, რომ საიმედო ახალგაზრდობა გვეზრდება და ერს თანადგომის გრძნობა არ დაუკარგავს. ვალდებულები ვართ, ასე მოვიქცეთ, ეს არ არის განსაკუთრებული საქციელი. ვუსამძიმრებ დალუპულთა ოჯახებს. ეს ჩვენი მორძალეული წვლილი გახლავთ კეთილი გულით გაღებული.” — აღნიშნა გივი ლაღანიძემ.

სამტრედიიდან “ნაციონალური” დახმარება პირველი გაგზავნეს დედაქალაქში.

თბილისის



სვლილებები 2015 წლის ბიუჯეტში

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 12 ივნისის საკრებულომ ცვლილება შეიტანა იმ გადაწყვეტილებაში, რომლითაც ქალაქ სამტრედიაში, გეგეშიძის ქუჩის №4-ში მდებარე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლსა და იანეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მე-9 ქუჩისთვის ნოდარ კობრიძის სახელის მინიჭების შესახებ. კერძოდ, გასწორდა განკარგულებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა და ჩამოყალიბდა შემდეგნაირი რედაქციით: ქალაქ სამტრედიაში გეგეშიძის ქუჩა № 4-ში მდებარე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისა და იანეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მე-9 ქუჩისთვის ნოდარ კობრიძის სახელის მინიჭების შესახებ. ხოლო განკარგულების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: სამტრედიის მუნიციპალიტეტში, იანეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მე-9 ქუჩის ნოდარ კობრიძის სახელი. საკრებულომ 12 ივნისის თანხმობა მისცა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელს აიბ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო ცენტრის წესდებაში, მათ შორის სახელწოდებაში ცვლილების შეტანისათვის. 12 ივნისიდან საკრებულოს საინფორმაციო ცენტრის ნაცვლად იწოდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრად.

ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, მერაბ უღრელიძემ 12 ივნისის საკრებულოზე პირველ საკითხად გამოიტანა ქალაქ სამტრედიაში, ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე დავით მელქაძის საკუთრებაში არსებული ბინის ნუმერაციის შესახებ. საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება, კონკრეტულ ბინას მიენიჭოს ნუმერაცია № 3. ჩეხოვის № 1-ში ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ბაგა-ბალი სახელმწიფო საპრივატიზაციო ნუსხაში მოხვედრა. 12 ივნისის საკრებულომ აღნიშნულ საკითხზეც იმსჯელა და მუნიციპალიტეტის გამგებელს თანხმობა მისცა ობიექტის პრივატიზაციაში გადაცემაზე. საბაზისო ფასი 760 ლარს შეადგენს. იგი აუქციონის წესით გაიყიდება.

საკრებულომ იმავე დღეს ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას დაუჭირა მხარი. 2015 წლის 12 ივნისიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ნაცვლად 12 984 200 ლარის გახდა 13 249 700 ლარი. გაზრდილი ციფრი 260 000 ლარს შეადგენს, რასაც ფინანსის ტეხნიკური მხარდაჭერის უწყობაში მდებარე მუნიციპალიტეტის გამგებელს აიბ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის წესდებაში, მათ შორის სახელწოდებაში ცვლილების შეტანისათვის. 12 ივნისიდან საკრებულოს საინფორმაციო ცენტრის ნაცვლად იწოდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრად.



პლუს ამას ჩეხურმა არასამთავრობო ორგანიზაციამ "ადამიანი გაჭირვებაში" ადგილობრივ ბიუჯეტს 5 500 ლარი გადასცა. 500 ლარი გომის სამუსიკო სკოლაში სახელმძღვანელოების შესაძენად

წავიდა, 5 000 ლარი სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებას ბაგა-ბალებისათვის ინვენტარის შესაძენად.

"საბურავის მაცნე"

კორმალელების აღსრულებული მართული ოცნება

თბა ბაგუნაშვილი

ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ძალიან გაბრაზებული იყვნენ გომის თემის სოფელ კორმალეში მცხოვრებლები. წინასწარჩევი დაპირება, გზის დაგეგმვა, აქ გამართულ ფენბურთის მატჩზე ხმაურით შეახსენეს უკვე გადაუტარებულ გიორგი კახიანს და გამგებლად არჩეულ ვალერი ფოცხვერიას. ამჯერად კი, "რაც კარგი გაკეთდება ჩვენი სოფლისთვის, რა სჯობს, ცხრა წელი რომ არაფერი გაუკეთებიათ "ნაციონალებს." - ო. ლენა გეგეა-ნეკუაძემ.

"კომუნისტების დროს რომ დაიგო, 1989-ში, მას მერე არ შეკეთებულა ეს გზა. მართალია, ბოლომდე, სკოლამდე ვერ ამოდიხ, მაგრამ, არჩევნება ძალიან და ალბათ, იქამდეც ამოვა." - მანაც კომუნისტები გაიხსენა და მომავალი არჩევნებში მთავარი კორმალელმა სულელი ნინოშვილი.

გომი-კორმალის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ამ კომუნისტების ფონზე მიმდინარეობდა ზაფხულის იმ საღამოს, მათ დასათვალისწინებლად ქალაქიდან სოფელში ჩასული გამგებლის, მისი მოადგილის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის სტუმრობისას. სხვათა შორის, დედუღეთში იყო ჩასული ვალერი ფოცხვერია და ქუჩაში გამოფენილ ნაცნობებთან ბავშვობის მეგობრებს კითხულობდა. ერთმა, ბაბუამის რომ იცნობდა თურმე, არჩევნებისას მათი მხარდაჭერაც "წამოაგრა" და ბოლომდე, მტერჩვეულამდე უნდა "ამოვიდეს" ამგვარი სიამოვნებო, შეახსენა.

მანამ, სანამ მტერჩვეულამდე ისიამოვნებენ აქაურები ასფალტ-ბეტონის გზით, შპს "ლატექსის" დირექტორი და აქ მიმდინარე სამუშაოების განხორციელებელი, ზაზა თოფურია, იმაზე საუბრობს, რომ გზის მშენებლობა მიმდინარე წლის 10 მაისს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვების შემდეგ დაიწყეს. 5 სანტიმეტრი სისქის ასფალტი, განში ხუთი მეტრით, 1 კილომეტრ 410 მეტრზე დაიგება. პროექტის ღირებულება 190 ათასი ლარია. ობიექტი დაახლოებით ერთ კვირაში ჩაბარდება.

გომის თემის დეპუტატი დავით ამაღლობელი განახლებაზე ამ გზას უკვე ასე იხსენებს: "ოთხმოციანი წლების მერე ორმული შეკეთება კი უტარდებოდა, მაგრამ არათუ ტრანსპორტს, ფეხით მოსარულესაც უჭირდა სიარული." და იქვე: "შეიძლება ითქვას, რომ ოცნების ასრულება ჩვენი სოფლისთვის ამ გზის დაგებით დაიწყო. მისი აღდგენის დაპირება, თავის დროზე კახი კალამქ მისცა აქაურებს, შემდეგ საქმეში ახლანდელი მკურნალი, გიორგი კახიანი ჩაერთო. ამჯერად, გომი-კორმალის დამაკავშირებელ გზაზე, გომის თემის დაბლა ექრის უბანში სოფელ დობიროს გადასახვევამდე მიდის სამუშაოები. ის "ბოლომდე" კი, მოსახლეობა რომ ამბობს, უშუალოდ კორმალის ცენტრშია, სადამდეც კომუნისტების დროს გახლდათ გზა დაგებული. სოფლის პროგრამით ამჯერად 40 ათასი ლარი დაკმატეთ, რათა ეს 1 კილომეტრ 410 მეტრზე

დაგებული გზა კიდევ 400 მეტრით გაეგრძელოს." გამგებლის მოადგილე დათო ბახტაძე აკონკრეტებს: "მიმდინარე სამუშაოებს რეგიონული განვითარების ფონდი აფინანსებს." გომის თემში გამგებლის წარმომადგენელი ზაზა ნიკოლეიშვილი მოსახლეობის მადლიერებას ბოლო 30 წლის მანძილზე, გზის რეაბილიტაციით შექმნილს, მათ უკმაყოფილებასაც ურთავს სოფლის ცენტრამდე სამუშაოების არგაგრძელებით გამოწვეულს. თუკცა, არც ეს ნაწილი დარჩება შეუკეთებელი" - აიძულებს აქაურებს.

მუნიციპალიტეტის გამგებელი ახლა იხსენებს მოსახლეობის იმ წყენას, რითაც წერა დაეიწყეთ და ხმაძალდა აცხადებს, რომ ხელისუფლება ყველა დანაბრებს ასრულებს, ოღონდ ეტაპობრივად, რამეთუ, იმ ანდამისა არ იყოს, სოფელი ხელის ერთი მოსმით არ შენდება!

ესეც კორმალელების აღსრულებული ოცნება, მხოლოდ აუსრულებელი ოცნებების დამნახავი სკეპტიკოსებისთვის!



რება, თავის დროზე კახი კალამქ მისცა აქაურებს, შემდეგ საქმეში ახლანდელი მკურნალი, გიორგი კახიანი ჩაერთო. ამჯერად, გომი-კორმალის დამაკავშირებელ გზაზე, გომის თემის დაბლა ექრის უბანში სოფელ დობიროს გადასახვევამდე მიდის სამუშაოები. ის "ბოლომდე" კი, მოსახლეობა რომ ამბობს, უშუალოდ კორმალის ცენტრშია, სადამდეც კომუნისტების დროს გახლდათ გზა დაგებული. სოფლის პროგრამით ამჯერად 40 ათასი ლარი დაკმატეთ, რათა ეს 1 კილომეტრ 410 მეტრზე

დაგებული გზა კიდევ 400 მეტრით გაეგრძელოს." გამგებლის მოადგილე დათო ბახტაძე აკონკრეტებს: "მიმდინარე სამუშაოებს რეგიონული განვითარების ფონდი აფინანსებს." გომის თემში გამგებლის წარმომადგენელი ზაზა ნიკოლეიშვილი მოსახლეობის მადლიერებას ბოლო 30 წლის მანძილზე, გზის რეაბილიტაციით შექმნილს, მათ უკმაყოფილებასაც ურთავს სოფლის ცენტრამდე სამუშაოების არგაგრძელებით გამოწვეულს. თუკცა, არც ეს ნაწილი დარჩება შეუკეთებელი" - აიძულებს აქაურებს.

მუნიციპალიტეტის გამგებელი ახლა იხსენებს მოსახლეობის იმ წყენას, რითაც წერა დაეიწყეთ და ხმაძალდა აცხადებს, რომ ხელისუფლება ყველა დანაბრებს ასრულებს, ოღონდ ეტაპობრივად, რამეთუ, იმ ანდამისა არ იყოს, სოფელი ხელის ერთი მოსმით არ შენდება!

ესეც კორმალელების აღსრულებული ოცნება, მხოლოდ აუსრულებელი ოცნებების დამნახავი სკეპტიკოსებისთვის!

თბა ბაგუნაშვილი

ვალერი ფოცხვერიას ტონი მკაცრი იყო. ზონის სათავე ნაგებობაზე, საიდანაც სასმელი წვლით მარაგდება სამტრედია, თითქმის ერთი კვირის წინ მომდარა ავარიის დაპირების მიუხედავად, ჯერაც აღმოუფხვრელია. წყალმომარაგების კომპანიის მიმართ გამოთქმული არაერთი საფეხური მოსახლეობის თუ ხელისუფლების მხრიდან, ამ ფაქტმა კიდევ უფრო ხმაძალდა გახადა.

"საზოგადოების პრეტენზია სამართლიანია. დავპირდით, რომ შეფერხება ძალიან აღმოიფხვრებოდა, არადა, კვირაზე მეტი გაიდა და საქმე წინ ვერ მიდის. როცა საქმე დაჯარიმებას შეეხება, არ ზოგავთ ხალხს. ახლა კი თავის მართლებას იწყებთ. დაახ, კანონი კანონია, მაგრამ დაჯარიმებისას უნდა მოქმედებდეს კანონი და მიწოდების დროს არა?! წყალმომარაგების კომპანიის კამაოფლი არც მე ვარ და არც საზოგადოება. თქვენ აღებულ გავით მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული ზოლი. სადაც პრობლემებია, იმ ნაწილს არ ეკარებთ. მუშაობთ მხოლოდ იქ, საიდანაც ფული ამოდის. ალბათ, დაფიქრებთ საკითხს, ან ჩვენ გადმოგვცეთ, ან თქვენ მიხედოთ მილიანად სისტემას თავისი მოსაგვარებელი პრობლემებით!" - მუნიციპალიტეტის გამგებლის გაცხარებას წყალმომარაგების კომპანიის იმერეთი, რა

მყვინთავია საჭირო და ღირამტორი ჩამოგყავით? ხა ვუთხით მეზობლებს ბაცონებო?!

ჭა-ლექსებში, ქვემო სვანეთის ტექნიკური სამსახურის უფროსი უნა ფაჩულია, კომუნისტების შემდგომ შეუკეთებელი, მოძველებული სისტემით შექმნილ პრობლემებს უპირისპირებდა და სწორედ მათ ასახელებდა ჯერ ისევე აღმოუფხვრელი ავარიის მიზეზად. წყალმომარაგება ისეთი თემაა, ავარიები ხშირია, ამბობდა კომპანიის წარმომადგენელი.

"საყვედური გვეკუთვნის მაშინ, როცა გულხელდაკრეფილები ვიქნებით და პრობლემას უგულვებელყოფთ. ჩვენ ყველა დღე ვიხმარეთ და არაფერი გამოგვივიდა. ახლა სხვა ხერხს მივმართავთ. ამაზე მუშაობა დაწყებულია." - დასძინდა იგი. სხვა ხერხი კი აკვალანგის მოშველება და მყვინთავის ჩამოყვანა, თანაც ისეთი, ვინც ერეკვეა სისტემაში და დაგუბებულ წყალში ჩასატარებელი

სამუშაოების შესრულებას შესძლებს. აქამდე მოქმედი სისტემით მუშაობამ შედეგი ვერ გამოიღო, მიუხედავად იმისა, უნდა წავიდეთ."

კითხვას, ვისი ბრალია სამტრედიის ამდენი ხანი წყალი დაბალი წნევით რომ მიწოდდება? ვერც იმ დღეს გაეცა პასუხი. საგარეულო "ბრალდებულების" სიაში გამგებელმა ხელისუფლებასთან და მოსახლეობასთან ერთად კომუნისტებიც "შეიყვანა", ანუ ისინი, ვინც ეს სისტემა თავის დროზე დააკომპლექტა. კომპანიის წარმომადგენელს, რა თქმა უნდა, მისი ცინიზმი არ მოეწონა და უკვე აგრესივითაა ურუნალისტებში შემოიჭრა მხერამაც ჩაწერის დროს გააღიზიანა. "პრობლემა, შეიძლება, უფრო დიდხანსაც გაგრძელდეს!" - ეს გახლავთ დიანგონი, რომელიც ისედაც ცხადი იყო, სანამ მას თავვე ნაგებობაზე მობილინებული კომპანიის ტექნიკური სამსახური დასვა. მისი განახლება კი, რომელიც საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, მთლიანად წყალმომარაგების კომპანიის პროეროგატივაა. საგარეულოდ, სწორედ ეს თანხებია პრობლემის აქილევსის ქუსელი.

გამგებლის მოადგილე დავით ბახტაძე უნა ფაჩულიასგან მოსახლეობის მეტად ინფორმირებულობას მოითხოვდა აღნიშნულ საკითხებზე: "მაშინ მოსახლეობის და მათ შორის ჩვენიც, მეტად ინფორმირებულობა საჭირო. ბოლოს და ბოლოს, ადგილობრივი ძალებით სასმელ წყალს მაინც შეგუქმენთ და მივაწოდებთ მათ. ჩვენც გვეცმის, რომ რთულია, მაგრამ კონკრეტული მონახაზი უნდა გვექონდეს, რა როგორ მოვაგვაროთ. რამდენიმე დღეა, ტყუილი ნათქვამი გამოგვდის აბონენტებთან, რაც დიდ უხერხულობას გვიქმნის."

მოსახლეობის ინტერესები საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მერაბ უღრელიძემ და ორედიული კომისიის თავმჯდომარე მანანა სირბილაძემაც გააზიარეს და კომპანიას მათი გათვალისწინება მოსთხოვა.

"ვცდებით, მალე მოვაწესრიგოთ ეს სიტუაცია. ამისთვის ყველაფერს ვაკეთებთ და ეს, პირველ რიგში, ჩვენს ინტერესშია. თავის დროზე, როცა წყალმა თვითონდებით დაიწყო სამტრედიაში მიხვლა, ჯერ დემონტაჟი და შემდეგ მონტაჟი არასწორადაა გაკეთებული. ყველაფერი დაგანგულია, მთელი სისტემის რეაბილიტაციაა საჭირო." - დაბოლოს კომენტარი მოგვცა ურუნალისტებზე გულმობრუნებულმა ტექნიკური სამსახურის ხელმძღვანელმა. იქვე აღნიშნა, რომ მართალია, დაბალი წნევით, მაგრამ წყალი რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ყველა აბონენტის ოცნაში მოდის.

ის იყო, უკან წამოსულმა ხმაძალდა გავეფიქრეთ, კრება მხიარული დარჩა-თქო, ბოლოჯერ დასმულ კითხვაზე: "რა ვუთხრათ მეზობლებს, ბატონებო, მაინც როდის იქნება წყალი?" მანანა სირბილაძეს იმ მომენტისთვის ერთადერთი პასუხი გასცეს: "ვერ გეტყვით რამდენ წუთში, რა დროს, რომელ საათზე, მაგრამ იქნება!"

ჰოდა, იქნება წყალი, მეზობლებო!

რომ ადგილზე მობილინებულია ტექნიკური და დიაგნოსტიკური ჯგუფები. გენერალური დირექტორი ხომ არ ჩამოვარდებით, ტექნიკური ჯგუფის უფროსმა, მიუხედავად ამისა, მუშაობა კვლავ იმ სისტემით გრძელდება, უშედეგო რომ არის. ამან გამგებელი კიდევ უფრო გააღიზიანა, "მყვინთავია საჭირო და დირექტორი ჩამოდის?" - არ ცხრებოდა იგი და იქვე, სამტრედიაში შემოსული თურქი ინვესტორების მიმართ ლმობიერების უთითებდა კომპანიის წარმომადგენლებს: "ერთი ინვესტორია სამტრედიაში შემოსული და რუ გააქცევთ. კიდევ ერთხელ გიმეორებთ, კანონი ყველა შემთხვევაში უნდა კანონობდეს და დათმობამდე ყველა შემთხვევაში ერთნაირად

რომ ადგილზე მობილინებულია ტექნიკური და დიაგნოსტიკური ჯგუფები. გენერალური დირექტორი ხომ არ ჩამოვარდებით, ტექნიკური ჯგუფის უფროსმა, მიუხედავად ამისა, მუშაობა კვლავ იმ სისტემით გრძელდება, უშედეგო რომ არის. ამან გამგებელი კიდევ უფრო გააღიზიანა, "მყვინთავია საჭირო და დირექტორი ჩამოდის?" - არ ცხრებოდა იგი და იქვე, სამტრედიაში შემოსული თურქი ინვესტორების მიმართ ლმობიერების უთითებდა კომპანიის წარმომადგენლებს: "ერთი ინვესტორია სამტრედიაში შემოსული და რუ გააქცევთ. კიდევ ერთხელ გიმეორებთ, კანონი ყველა შემთხვევაში უნდა კანონობდეს და დათმობამდე ყველა შემთხვევაში ერთნაირად



ლევან გავაჩაია

ჩვენს ახალ ვართ...

მიუხედავად იმისა, რომ მქონდა პატივი, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაარსებულ პატრიოტთა კავშირ "სამტრედიელის" წევრი ვყოფილიყავი, (რომელმაც მისი პრეზიდენტის ოთარ შანიძის გარდაცვალებასთან ერთად შეწყვიტა არსებობა) განუზომელ პატივად აღვიქვი, წელსწინ ოდნავ მეტი ხნის წინ კვლავ დაარსებული არასამთავრობო ორგანიზაცია "სამტრედიელის" თავკაცთაგან შემთავაზებდა, ვყოფილიყავი საზოგადოების წევრი.

"სამტრედიელის მაცნეში" "სამტრედიელის" დაარსების (განახლების) შესახებ რომ შევიტყვეთ, ვწერდი, წარმომედგინა, რომ ისეთი საკითხების გადაწყვეტისას, როგორცაა ქუჩებისათვის სახე-

ლების მინიჭება, საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ღირსეულთა დაკრძალვა, "საპატიო სამტრედიელის" წოდების მინიჭება და ა. შ. საზოგადოების აზრის გათვალისწინებით მოხდებოდა და არა ისე, როგორც ძალზე, დაიხ, ძალზე დიდი ხნის წინ.

საქმე იმაშია, რომ ამას წინათ ჩემი კოლეგისაგან შევიტყვე, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისათვის ერთ-ერთი ღირსეული სამტრედიელის სახელი "სამტრედიელის" შუამდგომლობით ისე მიუნიჭებიათ, რომ საზოგადოება "სამტრედიელს" არათუ რაიონის საზოგადოებისათვის, მისი ყველა წევრისათვის-

აც კი არ უკითხავს აზრი.

ჯერ ერთი, ისეთი აპოლიტიკური, ხალხის ორგანიზაციისათვის, როგორც მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლია, არ იყო აუცილებელი ვინმეს სახელის მიუთვნება. დაიხაც, ღირსეული კაცის სახელი სხვაგვარად შეიძლებოდა უკვდავგვეყო.

მეორეც, ქმნა მართლისა იქმნებოდა, როცა ეს გადაწყვეტილება იხილებოდა, განხილულიყო ამ სახლის ერთი კაბინეტისათვის მაინც ქალბატონი მაყვალა ჩაჩუას სახელის მინიჭების საკითხი, თითქმის 4 ათეული წელი რომ ხელმძღვანელობდა ამ სახლს და ცნობი-

ლი რომ გახდა იგი მთელ კავშირში.

არავინ იფიქროს, თითქოს ბატონი ნოდარ კონრეიძის სახელის მინიჭების წინააღმდეგი ვიყო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისათვის, არა, ამ ერთი (დაიხ, ერთი) წერილით მინდა ვეითხო, რაში გამოვიყენო ჩემს სახელზე გაცემული "სამტრედიელის" წევრობის დამადასტურებელი მოწმობა თუკი ორგანიზაცია ჩვენს აზრს უგულებელყოფს? უფრო სწორად, ჩვენი აზრი არც კი აინტერესებს?

ვიფიქრობ, დიდი ხანია დამთავრდა დრო, როცა ერთი ან ხუთი კაცი, ყოველ შემთხვევაში ხალხის მცირე ჯგუფი

წყვეტდა საკვანძო საკითხებს, საკითხავია, წვეტდა კი?

ამდენად, რაკი ვეროპისაგან, ვეროპული დირეულებებისაგან გვემუცველად მაკალმა ჩვენმა ხელისუფლებამ აღარა სიტყვის, პრესის, გამოხატვის უფლებებისადმი, საკვანძო საკითხებში საზოგადოების ჩართულობისადმი... პატივისცემა, მსგავსი საკითხების გადაწყვეტისას (განხილვის პროცესში) საზოგადოების, არათუ "სამტრედიელის" წევრთა მეტად ინფორმირება იყო საჭირო.

გვანტერესებს ერთიც, როდის, რა კუთხით იქნება რაიონის სხვა ღირსეულ თავკაცთა ხსოვნა უკვდავყოფილი? ვრჩები რა პატივისცემული მუნიციპალიტეტის საკრებულოს სრული შემადგენლობისადმი, "საზოგადოება სამტრედიელისადმი", მორიდებით მოგაგონებთ: კამათში იბადება ტექმაროტება.

მკითხველის მაჯისცემა

დღეს, ქვეყნის მდგომარეობიდან გამომდინარე, ყველა მოქალაქეს მართებს ხმის აძლევა, ვისაც კი აწუხებს ჩვენი ქვეყნის ბედი და გულთან მაიქვს მისი სატიკარი. ეს დრო დიდი ხანია დადგა, ამიტომ სათქმელი უნდა ითქვას, სიმართლე, მხოლოდ სიმართლე, რათა დავინახოთ ის პრობლემები, რომლებმაც უკიდურესობამდე მიიყვანა ქვეყანა. ეს პრობლემები უამრავია, როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და მრავალი სხვა. მათ ჩინში შეიყვანეს ქვეყანა. დღეს დიდი ძალისხმევაა საჭირო მისი ამ ჩინიდან გამოსაყვანად, რადგან ხელისუფლების მიერ გატარებული დღევანდელი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება ამისთვის არ არის საკმარისი. რა გვადღევს ამის თქმის უფლებას?

გვადღევს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მოშლა, ტერიტორიის, ქუჩების მკვლელობები, ეროვნული ფასეულობების ხტევა, ქვეყანაში "გამეფებული" ში-

შშილი და რაც ყველაზე უფრო მთავარი და მთავარია, ქვეყანაში დამკვიდრებული უსამართლობა.

ასეთ დროს, ბუნებრივია, ისმის კითხვა: რას შეუძლია ვითარების რადიკალურად შეცვლა ქვეყანაში?

პასუხი ერთია: ქვეყნის გადარჩენის ერთ-ერთი და ძირითადი საწინდარია, პირველ რიგში, სამართლიანობის დამკვიდრება. სხვა პრობლემები მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება მოგვარდეს და გადაწყდეს დადებითად, რადგან მხოლოდ სამართლიანობა არის ქვეყნის დემოკრატიული მშენებლობის მთავარი ქვაკუთხედი (თუ ჩვენ დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთ). ამიტომ, მინდა, ამ საგანზეო წერილში ამ მთავარ პრობლემას შევეხო.

სამართლიანობის დამკვიდრებას ქე-

ყვანაში ხელისუფლებიდან მოსახლეობა დიდი ხანია მოითხოვს, მაგრამ იგი დღემდე რჩება, როგორც იტყვიან "ზმად მლაღდებოდა უდაბნოსა შინა". დიდი ხანია "სამართლის ხმა ქვეყანა ქუჩებს" დამკვიდრებული უსამართლობის წინააღმდეგ. საზღვარი ხომ ყველაფერს აქვს, ბოლოს და ბოლოს, "სამართალმა პური ხომ უნდა ჭამოს", როგორც ხალხური გამოთქმა ამბობს.

კერძოდ, რაში გამოიხატება ეს სამართალი?

პირველ რიგში, იგი გამოიხატება ხალხის უფლებისა და მათი უსაფრთხოების დაცვაში, რაც დღეს, შეიძლება ითქვას, ფუნქციონირებს გათვლილი. ზოგადად, "ნაციონალური მორბობის" გასული ცხრაწლიანი მმართველობის რეჟიმის პერიოდში ქვეყანაში მომხდარ უამრავ და-

ნამულებზე, როგორცაა: ადამიანების წამება, მათთვის ქონების უსამართლოდ ჩამორთმევა და მითვისება, უამრავი განზრახ მკვლელობა და მრავალი სხვა, მოსახლეობა კატეგორიულად მოითხოვს პასუხის გაცემას ყველა დამნაშავედან დაწყებული, ხელისუფლების მაღალი ჩინოსნებიდან რიგით მოქალაქემდე, რადგან კანონის წინაშე ყველანი თანასწორია. თავის დროზე ხელისუფლებაში მოსული ახალი პოლიტიკური ძალის, კოალიცია "ქართული ოცნების" წინააღმდეგ პერიოდში, მთავარი გზავნილი და დაპირება, სწორედ ქვეყანაში, პირველ რიგში, სამართლიანობის დამკვიდრება იყო, რამაც, ფაქტობრივად განაპირობა მათი ხელისუფლებაში მოსვლა.

მოვიყვან ამ მორბობის მთავარი ლიდერის ბატონ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ დაპირებიდან სიტყვებს:

"დღეს დიდი სიმართლის თქმის დროა, თუ გვინდა, რომ ქვეყანა ნახევრად მკვდარი მდგომარეობიდან გამოვიდეს, პირველ რიგში, სიმართლე უნდა ვილაპარაკოთ და ვინც არ არის კახაბერი, კახაბერად არ უნდა გამოვაცხადოთ".

და კიდევ, – "ჩვენ უნდა ავიხდინოთ

ქართული ოცნება, ეს არის ერთიანი, მთლიანი, ძლიერი, სამართლიანი საქართველო".

ამდენად, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ხელისუფლება ვალშია მოსახლეობის წინაშე. მართალია, ამ ბოლო დროს იგრძნობა ამ კუთხით ხელისუფლების ნაწილობრივ გააქტიურება, რაც გამოიხატება შინაგან სამინისტროდან და პროკურატურიდან ცალკე დამოუკიდებელი დეპარტამენტის შექმნით, რომელიც ამ საქმით დაკავდება და იფუნქციონირებს, მაგრამ, შეიძლება, ამ პრობლემების გადასაწყვეტად მართეს ეს არ იყოს საკმარისი. საჭიროა მეტი აქტიურობა და ძალისხმევა ხელისუფლების მხრიდან. იგი დღეს უნდა გადავიდეს ქვეყნის მართვის ახალ რეჟიმზე. ეს ახლა უნდა ჩაითვალოს დროის მოთხოვნად, რათა ქვეყანა ქვეყანას დაემსგავსოს, სამართალი დამკვიდრდეს, კანონმა იყონოს, რომ ხალხმა შევებით ამოიხსნოთ. მოკლედ რომ ვთქვათ, ქვეყანა სამართლიან უნდა გადარჩეს და მტკიცედ დაადგეს დემოკრატიული აღმშენებლობის გზას, რაც ქვეყანას საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანს.

სტატია გვამოხმობს

ესაში თქონის რა გზისთვის

ძნელად საცნაურია ქართველთა ბუნება და არაორდინალობა. ზოგის აზრით, ქართული ეროვნული ხასიათი რბილი რაინდობაა, სკულტურულმწიფარებლობა, რომელმაც არ იცის ინვესტიცია, "კულანებზე ნადირობა", "ერეტისისთა კოცონები. საუკეთესოს სინონიმად კი "საუცხოო" აქვთ.

მიუხედავად მოზღვავებული ჰუმანიზმისა და სამეგობროდ გაწვდილი ხელისა, მიძევა ქართველთათვის შორეული ექოს გამოძახილი – "მუსრის ავლებდა საქართველოს სხვის ქვეყნებში ატეხილი ჭირი". როგორც ისტორიკოსი ლოვარდ ტუხაშვილი ამბობს: "რომში გადაწვიტეს პონტოს მეფე-მითრიადატს მოსპობა და რომაელ ლეგიონერთა ფეხქვეშ ჩაიხიჩა იორ ალანის ველი, თურანში ამორავდა დიდი სელჩუკი და სისხლით დაიტბორა ქართული მიწა, ჩინგიზ-ხანმა ყარა-ყორუმში შექმნა იმპერია და გაფერმერთადა ვარძიის ფრესკები, აუკუნესდა ყოველი საქართველო".

XII საუკუნეში სალადინმა "ბროძელად ჯვაროსანთა" ელდად მონგოლთა და საუბედროდ ქართველთა, შექმნა მამლუქთა არმია (მამლუქი არაბულ ენაზე "თეთრ მონას" ნიშნავს). ყიდულობდნენ სალადინის მეგვიდრენი თურქებისაგან, ჩრდილო კავკასიელთაგან, თვით ქართველებისაგან გატაცებულ ქართველებს და მამლუქთა ჯარის მხედრებად აქცევდნენ.

"თეთრ მონათა" შორის მამაკობით, გონიერებითა და საბრძოლო თვისებებით ყველას ქართველები და ჩერქეზები სჯაბნდნენ. შესაბამისად, ისინი ყველაზე უფრო ფასობდნენ ახლო აღმოსავლეთის ბაზარზე. მივიდნენ მათთვის არ იშურებდა არც ოქროს, არც ვერცხლს და არც ძალას. დაძრწოდა ავაზაია ხროვა კოლხეთისა და იბერიაში. მაკაყადათ რჩეულნი, ბავშვები და მოზარდები. "სალადინური კიბო" მოედო ქართულ სხეულს.

"თეთრი მონების" მნიშვნელოვანი ნაწილი ხშირად თავად ხდებოდნენ მბრძანებლები. ფაშა ვეზირი, ბეი, ხანი, ემირი, სასალარი და ა. შ. XVI საუკუნეში მამლუქთა უმრავლესობა "გურჯი" იყო. ზედა ფენებშიც ძირითადად ქართველები იყვნენ.

ველები ბატონობდნენ. თავზარს სცემდნენ "მრისხანე გურჯები" ტუნისს, ლიბიას, სედანს, ეთიოპიას, ეგვიპტეს, სირიას, ლიბანს, პალესტინას თუ იორდანიას.

ქართველი ფაშები განაგებდნენ ანატოლიას, ქართლის მეფენი 10 წელი მართავდნენ ავღანეთს, უმალღესი თანამდებობები ეკავათ ირანში, 200 წელი ედგნენ სათავეში ინდოეთის ცენტრში – დეკანში მათ მიერვე შექმნილ სამ სამეფოს; მყარად მოვიდნენ ფეხი ინდოეთის დიდი მოგოლთა იმპერიის დედაქალაქ დელიში, ზეობდნენ ბალკანეთში.

ორღესური იყო მამლუქობა – ერთი პირით ხანჯალავდა არაბულ სამყაროს, ხოლო მეორეთი საკუთარ სამშობლოს. გურია-სამეგრელოდან აფხაზეთიდან 600 წლის მანძილზე 12 მილიონამდე ქართველი იქნა გაყიდული. აღმოსავლეთ საქართველოს კი მუსრის ავლებდა "ლეკიანობა", საიდანაც ყოველწლიურად 14 ათასამდე კაცს იტაცებდნენ. ადამიანი გახდა საქართველოში იმპორტული საქონლის ქართული ექვივალენტი, ქართველი გახდა ქართველთა ერთი ნაწილის შემოსავლის (ბონუსის) მთავარი წყარო.

თუკი ეგვიპტელ მამლუქთა შორის მეგრელები სჭარბობდნენ, ერაყში ქართველები და კახელები შეადგენდნენ უმრავლესობას.

დამლაღ-დაქუცმაცებული საქართველო, მიუხედავად მისი ცალკეული მეფეების, ეკლესიისა და პატრიოტთა მცდელობისა, უძლეური აღმოჩნდა ამ განუკურნებელი სენის წინაშე, ხოლო "ყვითელი ემშაის" ცდუნება უძლეველი და დამთრეუნველი. 600 წელი მიმდინარეობდა ბრძოლა ქვეყნის დამაქცევარ რენეგატებსა და პატრიოტებს შორის, რომელიც XIX საუკუნის შუა ხანებამდე გაგრძელდა, ვიდრე გადაწყვეტილი სიტყვა არ თქვა რუსული ჯარის სპეციალურმა დანაყოფებმა, შავი ზღვისაგან მიმავალ გზებზე საგანგებო სამხედრო ე.წ.

საკონტროლო "კორდონების" შექმნამ. 1831 წელს კი რუსეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოში, ლეკიანობის წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნა სპეციალური სამხედრო ფორმირება – მილიციის ლაშქარი – პირველი ქართული პოლიცია, რომლის მეთაურად დაინიშნა გენერალი იესე ანდრონიკაშვილი.

ბევრ ქართველს არეუნა ბედმა სამშობლოს გარეთ ცხოვრება, რაც უფრო დიდი იყო სასაპარეზო სივრცე, მით უფრო თავდადებით ილტვოდნენ ისინი ხელისუფლების სათავეებისაგან და საბრძანებლის გასაფართოებლად.

გამრავლდა "გურჯი" ბელადები ახიასა და აფრეკაში, ისინი განაგებდნენ ერაყსა და სირიას. ამ ქვეყნების 267 წლის დამოუკიდებლობის მანძილზე, 47 სულთნიდან, ყოველი მესამე ქართველი იყო. ხოლო ბოლო სულთანმა, წარმოშობით ჩერქეზმა აღ-პაყარიმ ერთადერთი ენა – ქართული იცოდა. ქართველთა პოტენციალსა და შემოქმედებით უნარზე დაყრდნობით ბრძანებდა ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე პეკალი – "პროგრესი ხორციელდება კავკასიური რასის მეშვეობით". ხოლო ასეთ განსაკუთრებულ ხალხად ქართველებს, ჩერქეზებსა და იტალიელებს მიიჩნევდა.

ქართველებმა დაუდეს სათავე ერაყის "ქულმანთა" და ეგვიპტე-სირიის "ბურჯის" სამეფო დინასტიებს. ქართველი ქალის ნაშობი იყო არაერთი ირანელი ხანი და ოსმალია ფაშა. ცნობილი მეცნიერის, ჩარლზ დარვინის თქმით, "ირანსა და ოსმალეთში არ არსებობს არც ერთი არისტოკრატიული გვარი, რომელიც ქართველთა სისხლით არ იყოს გაკეთილმობილებული".

ტექმაროტ ქართველს ღრმად გასწრია მეგრეში საუკუნეთა სიღრმიდან გამოსროლილი ისარი. სულთნ გვრანს ტყვედქმნილი ქართველების თავგადასავალი, ყურში ჩაგვესმის თანამემამულეთა მიერ გაყიდული თუ დაღესტნელ აბრავ-

თა გატაცებული ქართველი გოგონების კვილი. რომლებიც ცნობილი მოზაურის ფ. შარდენის გადმოცემით "უმშვენიერესნა მთელ დედამიწაზე".

შთაბეჭდავია ბედითა თუ უბედობით უცხოეთში მოღვაწე სახელოვან ქართველთა სიმხე, ნიჭი და გონიერება. ყოველი მათგანი, მბრძანებელი იქნება იგი თუ სულთანთა პარამხანის მშვენიება, ჩვენთვის დიდი ტკივილია. წარმოუდგინოთ ეგვიპტე-სირიის "ქულმანთა" 8 ათასიანი პროფესიონალი არმია, ირანში, თურქეთში, ავღანეთსა და ინდოეთში მებრძოლი ქართველი მეთრეები და მხედართმთავრები, რომ ერთად მდგარიყვნენ საქართველოს სამსახურში, თუ როგორ დამთავრდებოდა ქართველთათვის ავღანსახელებელი კრწანისის ბრძოლა, ბროძელში სადაც მეფე ერეკლემ 4 ათასი მეომარი ძღვას შეკრიბა.

"წინაპართა ქმედება ჭკუის სასწავლებელია მეგვიდრეთათვის. კარგი მაგალითი სანიშნოდ უნდა გაიხადო, ცუდი დაიმხსოვრო, რომ არ გაიმეორო" – გვასწავლიდნენ რომაელები. ბედმა მილიონობით ქართველი გარიყა სამშობლოდან. მათი ცხოვრების საფუძვლიანი შესწავლითა და ანალიზით დღემდე, სამწუხაროდ, არავინ შეწუხებულა. ამიტომაც მეტ-ნაკლები სიზუსტით გვაქვს საქართველოს ისტორია, მაგრამ ჯერაც დაუწერელია ქართველთა ისტორია.

ზოგი მკვლევარის აზრით, სამშობლოს გარეთ მყოფ ქართველთა სულს, ხშირად სატანა ეუფლებოდა და ღმერთის სტოვებდა მათ არსებას. რაოდენ უცნაური არ უნდა იყოს, პატარა ქვეყნის შვილები უცხოეთის ფართო სივრცეშიც ვერ ეტყობდნენ და არ ჰყოფნდათ სამოქმედო ასპარეზი. აფართოვდნენ თავიანთ საბრძანებელს და ილტვოდნენ ხელისუფლების სათავეებისაგან.

ქართველმა "თეთრმა მონებმა" დაუდეს რა სათავე ეგვიპტისა და სირიის "ბურჯის" სამეფო დინასტიას. ღირსეულად ატარებდნენ შაიხ ელ-ბალადის უმ-

აღლეს ტიტულს. პირველი დიდი ბალადი ალი-ბეი მეგრელი იყო. აქედან მოყოლებული ეგვიპტისა და სირიის მმართველები ვიდრე 1931 წლამდე, უმთავრესად ქართველები იყვნენ. ისტორიამ შემოგვინახა ზოგი მათგანის გვარ-სახელი – დარბაიძე, არსენიშვილი, წილოსანი და სხვა. ყველაზე კოლორიტული მათ შორის იყო იბრემ ბეი შინჯავაშვილი, ბავშვობაში მარტყოფიდან გატაცებული ღამის მეხრე, რომელიც მამლუქებს მეთაურობდა ნაპოლეონთან ბრძოლაში. მათი ბრძოლით აღტაცებული კორსიკელი იტყვის: "ამ ერთი მუჭა რჩეული ხალხით, მე არ ვიცი რა დამრჩებოდა დაუპყრობელი"-ო.

ურთიერთობისა და დალატის ტრადიციულ ქართულ სენს, სამწუხაროდ, ვერც სამშობლოდან შორს მყოფი მამლუქები აღწევდნენ თავს. ამით კარგად ისარგებლა ოსმალეთის იმპერიამ და ჯერ კიდევ ეგვიპტეში ნაპოლეონის შეჭრამდე, საგრძობლად შეარყია აქ ქართველთა ბატონობა. თურქებმა იხმარეს ნაცადი ხერხი და მამლუქებს ქართველი, კერძოდ, წარმოშობით ფშაველი, ადმირალი კაპუდინ ფაშა დაუპირისპირეს. კაცი, რომელიც მამლუქებს მხოლოდ ქართულად ელაპარაკებოდა. თუმცა ქართველებმა მალე გაითავისუფლეს თავი, აღადგინეს ეგვიპტის დამოუკიდებლობა და კვლავ დაიბრუნეს შაიხ ალ-ბალადის უმადღესი წოდება.

1749-1831 წლებში ქართველები ერაყსაც განაგებდნენ, როგორც აღვინშნეთ, მათ დაუდეს სათავე "ქულმანთა" სამეფო დინასტიას და 82 წელიწადი განაგებდნენ ამ დიდი ისტორიული წარსულის მქონე ქვეყანას. სატახტო ქალაქად კი ბაღდადი აირჩიეს. რას წარმოიდგინდნენ ერთ დროს თითქმის ნახევარი მსოფლიოს მბრძანებელი არაბი ხალიფები, თუ მათი იმპერიის ცენტრსა და ტახტს შორეულ "ჯუნანაში" ნაყიდი "თეთრი მონები" დაეუფლებოდნენ. ერაყის ხელისუფალთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: სულეიმან აბუ ლაილი, სულეიმან ბუიუქი, ხანიფ ალი, საიდ ფაშა, დაუდ ფაშა და სხვა ქართველები.



მე კახაოზიდი მიხიანი

თეა ბაგვაშვილი

მას შემდეგ, რაც ფესტივალზე "თეატრალური იმერეთი – 2015" სამტრედიის ერთი მანჯვალაობის სახელობის სახალხო თეატრმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, ალუბანდრო კასონას პიესის მიხედვით რეჟისორ ვეფხია ნადირაძის მიერ დადგმული სპექტაკლი "ველორი", კულტურის ცენტრის სცენაზე კიდევ ერთხელ ითამაშეს. ამჯერად მას პარლამენტარი მსახიობები, ვია ჯაფარიძე და ვოგი ქავთარაძე ესწრებოდნენ. მათთან ერთად დარბაზში სტუმრის ამბლუაში ზესტაფონის თეატრის წარმომადგენლები, ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიული თეატრალური დასის ხელმძღვანელი, ნანა წერეთელი და ამავე თეატრის მსახიობი ამირან ნასყიდაშვილი ისხდნენ, რომელიც ფესტივალ "თეატრალური იმერეთი – 2015"-ზე მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის დაჯილდოვდა.

"სამტრედიელებს თავდადებული თეატრალი გვათვინებდა ნადირაძის სახით. მიხარია, რომ მას, ჩემს მეგობარს ასე ერთგულად უდგას გვერდით რაიონი და მაყურებელი. წარმატებებს ვუსურვებ ვეფხიას და მიუღო თქვენ დასს." – სიტყვით მიმართა დარბაზს ნანა წერეთელი.

პარლამენტარმა, მსახიობმა და რეჟისორმა ვოგი ქავთარაძემ სპექტაკლის დასრულების შემდეგ აღნიშნა, რომ "სამტრედიის თეატრალური დასი იმსახურებს, და მე ამაზე მეტზე საუბარი, ეს თეატრი სახელმწიფო თეატრად გადაკეთდეს." ყურანდისტიკითან საუბარში ხაზი გაუსვა, რომ ერთდროულად პოლიტიკოსიც გახლავით, მსახიობიც და რეჟისორიც, ანუ არის ყველაფერი, სადაც მისი შესაძლებლობები სჭირია.

ვია ჯაფარიძე კი პარლამენტ-

არის ამბლუას მსახიობის არჩევდა. ეს მასთან სახელდასხვად ჩაწერილი ინტერვიუდანაც კარგად ჩანს, რაც შეეხება სტუმრის მიხედვით, სპექტაკლის დასრულების შემდეგ ამბლუადისშენიშვნები არ დასრულდა. და აქვე პასუხები იმ რამდენიმე კითხვაზე, მას რომ დავესვით.

– პარლამენტარ ვია ჯაფარიძეს ვესაუბრებით, თუ მსახიობს?

– მსახიობს, ჩემო ბატონო, რა თქმა უნდა, მსახიობს. პარლამენტშიაც მსახიობი ვარ.

– ხომ არ გგონიათ, რომ მომდერლების, მსახიობების ადგილი ნაკლებად არის პარლამენტში და უფრო სცენაზეა?

– არა, რა თქმა უნდა, მსახიობის ადგილი თეატრშია, მაგრამ სადაც ერისთვის საჭიროებო საკითხები წყდება, აუცილებლად უნდა იყოს შემოქმედი ადამიანი.

– ქართულ რეალობაში სცენიდან არაერთხელ უკეთესად თქმულა სათქმელი და გადაწყვეტილა ქვეყნის ბედი...

– სცენა მაჩვენებელია, იდეალია, რომელიც გეუბნება, რომ ეს ასე უნდა გაკეთდეს. თუ კი, პარლამენტის დარბაზში პრაქტიკულად წყდება ეს საკითხები.

– მსახიობ ვია ჯაფარიძის აზრი დღევანდელ ქართულ პოლიტიკაზე?

– დიდი გარდატეხების პერიოდი ედგა ქართულ პოლიტიკას ამის შემდეგ და აქამდეც, რადგან არაერთი საჭიროებო საკითხი გადასაწყვეტი. ვამბობ და ვიტყვი: რამდენჯერაც სცადა საქართველომ ფეხზე წამოდგომა თემურ-ლენგის შემოსევის შემდეგ, იმდენჯერ სარმა გამოსდეს, იმდენჯერ დააგდეს. ახლა რაღაც შანსი გაჩნდა საერთაშორისო მეგობრობის, საერთაშორისო თანადგომის საფუძველზე, როგორც ილიას ლელთლუნია იტყობა, "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყურებს!" ეს ქვეყანა ძალიან დიდი დამსახურებით გამოირჩევა მსოფლიოში. მან ბევრი მისცა მსოფლიოს თავისი კულტურით, ისტორიით. სპილენ-

ძი საქართველომ მისცა მსოფლიოს და თქო...

– რომელი თქო, საბადო რომ გავანადგურეთ?



– არა, რას ამბობთ, ეს უკვე წერტილი კითხვაა. მხედველობაში მაქვს ამას წინათ იყო შესანიშნავი გამოცემა "ოქრომრავალი კოლხეთი". ეს უნდა ნახოთ და აქედან ამოვადეთ.

– ახლახან დასრულდებულ თეატრალურ ფესტივალსაც შევეხებო.



მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ პერიფერიებშია გახვეული ქართული ნიჭი...

– აბა, რა! მე პერიფერიიდან წამოსული კაცი ვარ. თითქმის 20 წლის განმავლობაში ორი სახალხო თეატრის სცენაზე ვიდექი და იქ ძალიან ნიჭიერი ხალხი მინახავს. განსაკუთრებით სამტრედიის არ უნდა შეგვეპაროს ამას ვეჭვი, საიდანაც არაერთი დიდი მსახიობი და რეჟისორი ჰყავს ქართულ თეატრალურ ხელოვნებას. ყველაფერი უნდა იყოს თეატრი, რადგან იგი უდიდესი მასწავლებელი და აზროვნების სწორად ჩამოყალიბებელია.

– ჩვენი გახვითის უბიძგეზე თქვენ საპატიო სტუმართა რიცხვში

ბრძანდებით. ალბათ, გახსოვთ "სამტრედიის მაცნე"...

– დაახ, როგორ არ მახსოვს! საერთოდ სამტრედიის ძალიან ბევრი მეგობარი მყავს. აქაური იყო ადამიანი, რომლის გაცნობის შემდეგაც მის გარეშე ჩემი ცხოვრება აღარ არსებობს. იგი ზვიად ვაშაყიძე გახლავით, რომელიც, მართალია, წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ დღესაც ჩემი მეგობრების რიცხვშია. იგი დღესაც ცოცხლობს ჩემში.

– და სპექტაკლზე, ამ სცენაზე რომ ნახეთ?

– ძალიან კარგი სპექტაკლია. მე კმაყოფილი მივდივარ, გულწრფელად კმაყოფილი!

არასამთავრობო ორგანიზაციებში მუნიციპალიტეტის მთავრობის განცხადებით

არასამთავრობო ორგანიზაციის – "კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის" (CIESR) დაკვეთით და "დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნული ფონდის" (NED) დაფინანსებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოქმედმა ორგანიზაციამ – "სამოქალაქო საზოგადოება მდგრადი განვითარებისათვის" (CSSD), მიმდინარე წლის იანვარ-მაისში განახორციელა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობისა და დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ების საქმიანობის კვლევა. კერძოდ, მონიტორინგი განხორციელდა 2014 წლის განმავლობაში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში არსებული ინფრასტრუქტურული პროექტებისა და მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების, ა(ა)იპ "სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოლამდელი აღზრდის (ბაღები და ბაგა-ბაღები) დაწესებულებათა გაერთიანების" და ა(ა)იპ "სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების" საქმიანობის მიმართულებით. შემუშავებულ იქნა აღნიშნული კვლევის ამსახველი წერილობითი დოკუმენტი, რომელიც გარდა გამოქვეყნებისა და წარმატების აღწერისა, მოიცავს კონკრეტულ რეკომენდაციებს. მონიტორინგის ანგარიშის ბუკლეტში და ციფრული გამოცემა უახლოეს დღეებში მომზადდება და გაეცემა აღნიშნული კვლევის პრეზენტაცია სამტრედიის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებისათვის, თვითმმართველობის თანამშრომლებისა და დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

ველები იყვნენ ერაყის ყველა დიდი ქალაქის თავები. აფხაზეთიდან გატაცებული "თეთრი მონის" სულეიმან ქუჩაის სახელს დღესაც ატარებს ერაყის ერთ-ერთი ქალაქი სულეიმანი.

გვიანი შუა საუკუნეების ერაყის ყველაზე დიდ სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეა მიჩნეული იოსებ გიორგის ძე მანველიშვილი-ბოჩოლაშვილი, რომლის სახელს უკავშირდება ერაყის გაერთიანება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ერთ დროს მსოფლიოს უდიდესი იმპერიის შუა მდინარეთის სახელმწიფოს პირველი ქალაქის ბაღდადის აღორძინება.

XVI საუკუნეში ოსმალებმა სამცხე-ჯავახეთი მიიტაცეს და აქ ცალკე ადმინისტრაციული ერთეული "გურჯისტანის ვილაიეთი" შექმნეს. დაიწყო ქართული კულტურის ამ უმძლავრესი კერის ისლამიზაცია, ხელისუფლებისა და მეურნეობის ტრადიციული ფორმების მმართველობის თურქული სისტემით შეცვლა. ქრისტიანობაზე უარის თქმის სანაცვლოდ ქართველ დიდებულებს ფაშის, ბეგის, სანჯაყისა და სხვა თანამდებობებს სთავაზობდნენ, ხოლო დაბალი ფენის წარმომადგენლებს საგადასახადო შეღავათებს აძლევდნენ.

ქართველთა უმრავლესობამ, სამწუ-

ხაროდ, ასეთ ცდუნებას ვერ გაუძლო და ისტორიისათვის ძალზე მოკლე დროში ქრისტიანობა დათმო. ახალციხის ფაშები კი, როგორც წესი, გამამკდიანებელი ქართული წარჩინებული გვარის წარმომადგენლები, უმთავრესად ჯაყელები იყვნენ.

ქართული გენოფონდისათვის ყველაზე საშიში მოვლენა – "ტყვეთა სყიდვა", თავდაპირველად სწორედ ოსმალთა ვარის – ანაჩართა ლაშქარის დაკომპლექტებას ემსახურებოდა. ანაჩინებისა, რომელიც ოსმალთა ყველაზე ბრძოლისუნარიანი და ორგანიზებული სამხედრო კონტინგენტი იყო.

ოსმალთა იმპერიაში მრავალმა ქართველმა მიაღწია მაღალ თანამდებობას და მიიღო სამხედრო წოდებები, ქართველი იყო თურქეთის ყოველი მეოთხე დიდგვარი. ასეულობით ქართველმა მხედართმთავრისა და სამხედრო მინისტრის პოსტი ჩაიბარა. ხოლო კახელი გლეხის შვილი ხოსროშვილი 20 წელი განაგებდა თურქეთის იმპერიას. იგი სხვადასხვა დროს იყო ადმირალი, ქვეყნის სამხედრო მინისტრი, ეგვიპტის ფაშა.

გავეცნობთ თურქეთში მოღვაწე ზოგიერთ ქართველს:

– ჯაყელი ისაყ – I ფაშა (1680-1745 წ.წ.), ახალციხის, იგივე ჩიღდირის ფაშა 1701-1745 წლებში. 1725 წელს იყო ქართლის მმართველი (რეზიდენცია ჰქონდა თბილისში), ხოლო 1735

წლიდან ახალციხის სამეკვიდრო ფაშას ტახტის მფლობელი. შემდეგ ტახტი დაუთმო თავის ერთ-ერთ შვილს იუსუფ III-ს. იყო თურქეთის ჯარის სარდალი.

– ჯაყელი აჰმედ ისაყ I-ის ძე, იგივე აჰმედ-ფაშა, სულთანის ვეზირი, ახალციხის ფაშა 1745-1758 წლებში. რაც არც თუ იხე ხშირია ფაშათა ისტორიაში, იგი იყო ოსმალეთის სამთლიანი ფაშა. 1754 წელს 40 ათასიანი ჯარით ილაშქრა იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ. (მიხეი იყო სოლომონ პირველის მიერ თურქეთისათვის ხარკის შეწყვეტა). ხრესტიანთა გამართულ ბრძოლაში იგი დამარცხდა, რას გამოც სულთანმა აჰმედ ფაშა ციხეში ჩასვა, ხოლო 1758 წელს თავი მოჰკვეთა.

– ჯაყელი პასან-ფაშა (1720-1770 წ. წ.), ახალციხის ვილაიეთის ფაშა 1758-1759 და 1761-1767 წლებში. სხვადასხვა დროს იყო სელეუკის ფაშა და სულთანის ვეზირი. მინიჭებული ჰქონდა სამთლიანი ფაშის ტიტული. არაერთხელ გაილაშქრა იმერეთის წინააღმდეგ, მაგრამ ყოველთვის დამარცხდა სოლომონ პირველთან ბრძოლაში.

– ჯაყელი შერიფ სულიმანის ძე, იგივე შერიფ-ფაშა (1750-1821 წ. წ.). 1792 წლიდან სხვადასხვა დროს სამჯერ დაინიშნა ახალციხის ფაშად, იყო თურქთა ჯარის სარდალი. ამ ვაი ქართველმა თავი იმითაც გამოიჩინა, რომ მჭიდრო კავშირი დაამყარა დაღესტნელ ლე-

კებთან და შეერთებული ძალით თავს ესხმოდა საქართველოს.

– ხიმშიაშვილი სელიმ აბდულის ძე (1775-1815 წ.წ.) თურქების ჯარის სარდალი, დიდი სულთანის ვეზირი სამთლიანი ფაშა, ზემო აჭარის სანჯაყი (მმართველი), რომელიც იბრძოდა ახალციხის საფაშოს თურქეთისაგან გამოყოფისათვის. ამ მიზნით მან შერიფ-ფაშა (ჯაყელი), ახალციხის მაშინდელი ფაშა გააძევა. 1815 წელს სულთანის ბრძანებით სელიმ ხიმშიაშვილს – ფაშათა შორის ყველაზე დიდ ქართველსა და პატრიარქს, სულთანის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს.

– ხიმშიაშვილი აჰმედი, იგივე, აჰმედ-ფაშა (1781-1837 წ. წ.), ორთულიანი ფაშა, ვეზირი, აჭარის მმართველი 1812-1829 წლებში. ფარსი-ჩიღდირის (ახალციხის) საფაშოს ბეგლარ-ბეგი 1829-1836 წლებში. იყო არზრუმის სერასკერი, ხოლო 1828-1829 წლებში ადმოსავლეთის ვილაიეთის ფორნტის სარდალი.

– რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომის დროს, როდესაც წყლებოდა საქართველოსათვის სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს დაბრუნების ბედი, რუსეთის ხელისუფლება ეცადა, აჰმედ ხიმშიაშვილის ისტორიული სამშობლოს სამხარეთში ჩართვას, მაგრამ მისი გადმობრუნება ვერ შეძლეს. იგი ერთგული დარჩა ოსმალთა იმპერიისა.

– თავდგირიძე პასან-ბეგი (პასან ფაშა) (1810-1884 წ.წ.). თურქეთის სარდალი, რომელმაც არის შექმნილი ცნობილი სიმღერა "პასანბეგურა".

– თავდგირიძე ალი მემედ ბეგის ძე – (ალი-ფაშა) (1835-1880 წ.წ.) თურქთა ჯარის სარდალი, რომელმაც დაიწერა სიმღერა "ალიფაშა".

– თავდგირიძე ოსმან მემედ ბეგის ძე – (ოსმან ფაშა) (1837-1883 წ.წ.) იყო აჭარის ფაშა და ბათუმის გუბერნატორი.

– მარღანია ალბუხ კაცოს ძე (1790-1840 წ.წ.) ვულაუთში დაბადებული, ცნობილი ალბუხ ფაშა, სახელით, იყო თურქეთის ჯარის სარდალი.

– მარღანია ჩალატაი სიტეს ძე (იგივე ჩალატაი-ფაშა) (1840-1914 წ.წ.) – თურქეთის ჯარის სარდალი.

– შერვაშიძე ჩაჩაბა (1838-1883 წ.წ.) პროფესორი, სტამბოლის აკადემიის რექტორი, მწერალი, ცნობილია სულიმან ფაშას სახელით.

– შაქირ ფაშა (1854-1914 წ.წ.) დაამთავრა გერმანიის სამხედრო შტაბის აკადემია, მიენიჭა თურქეთის უმაღლესი სამხედრო წოდება – მუშირი, რაც მარშლის წოდების თურქული ვარიანტია.

დამუშავდა: **დავით ბარბაქაძე**

წერდა უდავიდარაბოდ, ყოველგვარი ბაზაარის ბარეუ...

მისი გამოჩენა ყოველთვის რაღაც საინტერესოს ვარაუდობს იძლეოდა, იყო კიდევ ასე უსიძოვარეული საკუთარ სამშობლოზე, განსაკუთრებით კი – გვიშტობზე. ეს ხომ ის ადვილი ვახლავდათ, თავისი ხელით რომ აქცია იმერულ საფანჯრად. ხის რიგულუბიანი, ჩუქურთმებით მოკაშმული სახლი. ქსო – ვახაფხულისფრად ამწვანებული. მასპინძელი – ზომიერი იუმორით, დაკვირვებული, კოლორიტული საუბრის მანერით, განუყრელი მუნდშტუკითა და სვანური ქუდიით. ირგვლივ წივებში, მწერლის პორტრეტები, “დაიანის ზღაპრებით” მოსაგონარი წარსული, ხის ხელნაკეთი ნივთები. შუაში დიდი მაგიდა, ფურცლებით სავსე, დიდი ქართული პროზაიკოსის ნაწარმოებით აჭრულებული.

აქ ოტია იოსელიანი ცხოვრობდა. ამ საღებში იქნებოდა მწერლის შედეგები, მოთხრობები, თხზულებები, რომლებიც დაბეჭდვისთანავე იკვლევდნენ ქვას მეთხველითა ვულვებამდე.

ოტია კი წერდა უდავიდარაბოდ, მარტივი ენით, ყოველგვარი ვაჭარაშის ვარეშე, წერდა ყველაფერზე, ავადი ცხოვრებაზე, დაგროვილ გამოცდილებასა და ტკბილად მოსაგონარ დღეებზე. უფლის ღრმა რწმენით იყო ნაკარნახევი კალმის ყოველი მოსმა. “შწარე ენა აქვსო”, მასზე ამბობდნენ. რა ენა?! მწარე იყო სიმართლე, არსებული რეალობა...

მარადიული, გაუზუნარია ოტია იოსელიანის ლიტერატურული გენიით შექმნილი ბიბლიოგრაფია. ვადაშლი, წაფითხავ და ახლადდაცვარული მიწის სურნელს იგრძნობ, იგრძნობ ისეთივე სიმბაფრით, როგორც წერისას განიცდიდა სიცოცხლეშივე ერისკაცადქცეული მისი ავტორი.

სწრაფად დარია ხელი უკურნებელმა სენმა. მანც არ შეეუა, იბრძოდა და... მიუღია საქართველოს საერთო ტკივილად იქცა ოტია იოსელიანის გარდაცვალება. სამძიმრის დღეებში ზღვა ხალხი ეწვია გვიშტობს. საზოგადოებამ ვულწირფელი ცრემლით ვაცაცია მარადისობაში გადასული მწერალი უკანასკნელ ქვანზე. ანდერძის თანახმად, საკუთარ ქოში, ფესვგაგარი ხეების ჩრდილქვეშ დაკრძალეს სამშობლოს სიყვარულით ვულანთებული, მის უკეთეს მერმისზე მოფიქრალი ქართული სიტყვის დიდოსტატი.

ამ დღეებში ოტია იოსელიანს მწ წელი შეუსრულდებოდა. “სამტრედიის მაცნე” კიდევ ერთხელ შეკვარდა ვაჭარალოდა მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ქვას. თამარ გელოვანი სწორედ ის ადამიანია, ყველაზე მეტი რომ აქვს სათქმელი ოტიას მიმწერლის შესახებ...

– ქალბატონო თამარ, როგორ დაიწყო თქვენი ურთიერთობა? საერთო, ძალიან მნიშვნელოვანი საქმეს, რასაც წინგვიდებდა ჰქვია, ერთად ემსახურებოდით. თუ შეიძლება, უფრო ვრცლად გვესაუბრეთ ამის შესახებ...

– ისევე როგორც ოტიასთან გატარებული თითოეული დღე. მასთან ურთიერთობაც უცნაურად დაიწყო. ჩემი უფროსი ვაჟი, ლევან გელოვანი (დღეისათვის ბერ-მონაზონი მამა ლეონი), მაშინ მეექვსე კლასში იყო, წერა უყვარდა და მისი ნაწარმოებები საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა. ბატონი ოტია ყოველთვის კითხულობდა პერიოდულ გამოცემებს და ერთ-ერთ ჟურნალში ლევანის ნაწარმოებებს წაუკითხავს. ალბათ მოუწონა, რადგან თვითონვე მოგვიხიდა და ტელეფონით დაგვიკავშირდა. ახლაც მასხოვს, ზამთრის სუსხიან დილაში სახლში მარტო ვიყავი, ლევანი სკოლაში იყო. უცებ ტელეფონმა დარეკა, ვუპასუხე და... ოტია ვარ იოსელიანი, ლევან გელოვანის მოთხრობები წავიკითხე და მის გასაცნობად თბილისში მოვივლი, რომელ სკოლაში სწავლობსო, – მითხრა.

ალარ შეგაწყენთ თავს იმის აღწერით, რაც დამეძარბა, მაშინვე კი არა, მიუღია კვირა ვეღარ ვიღებდი წესიერად ხმას. ალბათ, იმის წარმოდგენასაც შემიძლებოდა, რა ბედნიერები ვიყავით მეც და ლევანიც. სწორედ ამ შეხვედრამ ბატონმა ოტიამ მითხრა, ტომების გამოცემის ვაპირებ და კაცი არაა, დავიხმარო. დარწმუნებული ვიყავი, არაფერში გამოვადგებოდი, მაგრამ მაინც შევთავაზე, ფილოლოგი ვარ და იქნებ შეგიძლოდოდა თქვენი დახმარება-მეთქი. შენ რა შეგიძლია, შე საწყალო, – რომ იცოდა, ისე პირდაპირ მითხრა და რამდენიმე მოთხრობა მაინც დამიტოვა.

დათქმულ დღეს ლეონიდის 11 ნომერში მივადექი, იქ მის უერთგულეს მეგობარ თამარ ნიკარაძეთან იმყოფებოდა. მათი მეგობრობა შემთხვევითი არ იყო. ადრე მათი მამები მეგობრობდნენ, მაგრამ ბატონი ოტიას მამა ადრე გარდაიცვალა და ამიტომ მაშინ მეგობრობის ურთიერთობაც თანდათან განუღებდა. წლების მერე, როცა მწერლობაში გამოჩნ-

და, თამარ ნიკარაძის მამას, სერგო ნიჭარაძეს თავად მოუხანავს ოტია იოსელიანი, მოუყვანია სახლში და ასე ადუღგენიათ და გაუგრძელებათ მამების მეგობრობა შეიღებს. იმ დროისათვის ოტია იოსელიანი 24 წლის იყო, თამარ ნიჭარაძე მასზე უმცროსი, თუმცა, ასაკში სხვაობას არასოდეს შეუშლია მათთვის ხელს. “მეგობრობამ ასაკი არ იცისო”, – ხშირად ამბობდა მწერალი.

ნიჭარაძეების ოთხობიანი ბინაში ერთ ოთახს დღესაც ოტიას ოთახი ჰქვია. სწორედ იქ მიმიღო პირველად. ჩემი ჩასწორებული მოთხრობები დაიტოვა, ცოტა ხანს კიდევ გამეხსარა და ისე გამომიშვა, არაფერი უთქვამს. სიმართლე გითხრათ, სხვას არც არაფერს ველოდი და ჩქარი ნაბიჯით ჩავუყვიე ლეონიდის ქუჩას. იმ დღემ ჩაიარა, მერე-მაც, მესამე დღეს მიხედავს და წერომათი მუხებზე: ასე სახლში ჯდომით და არ მოსვლით აპირებ 10 ტომის გაკეთებასო. გადავიცი, სწრაფად გავიქეცი მასთან და ჩავერთე იმ დიდ სამყაროში, რასაც წინგვიდებდა და ოტია იოსელიანი ჰქვია.

– როგორი იყო დიდი ერისკაცი ოჯახში, რამდენად დიდ საუბრობდა სხვადასხვა თემებზე? რა იყო მისი დიდი ტკივილი, მწუხარება, სიხარული?

– ვერავის გავაკვირებ, თუკი ვიტყვი, რომ ოტია იოსელიანის უპირველესი ტკივილი ქვეყნის გასაჭირი იყო. წუხდა და სტკიოდა საქართველოდან გადსხვეწილი ყველა ადამიანი და უპატრონოდ მიტოვებული ყოველი სახლი. მასთან ერთად არაერთხელ მომიწია ქვეყნის გარეთ მოგზაურობა. ჩამოვივლიდა მთიან სოფლებს და ყველა ეზოში იცით რას აკვირდებოდა? – სარეცხის თოყებს. თუ სარეცხი არაა გამოფენილი, მაშინ იქ კერაც გაცივებული იქნებაო, იტყოდა წუხილით. ერთხელ ზემო სვანეთის შემოვლისას სკვდიანი დაბრუნდა. ერთ სოფელში ვიყავი და ერთადერთი კაცის მეტი აღარავინააო. მოგვიანებით, ამბავი მოვივიდა, რომ ის მამაკაცი თბილისში მასთან სტუმრობისას გაუძარბავი განის გამათბობლით გაგუღულა.

მისი ავადმყოფობის გამო, არაერთხელ მოგვიწია სახლკარგარეთ გამგზავ-

რებაც. იქაც დაკვირვებით ადევნებდა თვალ-ყურს ჩვენს ემიგრანტებს და გადახვეწილთა დარდს თავის დარღვე იმატებდა. ცდილობდა, დაერწმუნებინა, რომ მათი არჩევანი არასწორი იყო და ისევე საქართველოში დაბრუნებისაკენ მოუწოდებდა: “შე შენთან ერთად რომ გამოვიტოვებოდა, თუკი შენც გამოემცალე, მარტო რაღა ვქნა, ხომ უფრო მეტად გამიჭირდება და უარესად დავაქცევო ჩვენს ისედაც წელში გატეხილ ქვეყანასო”.

ახლაც არ ვიცი, რა იყო ოტია ჩემთვის. რა თქმა უნდა, იყო დიდი მეგობარი, მაგრამ ამავე დროს, მეგობარზე მეტი, დიდი შემოქმედი და შემოქმედზე – მეტი, დიდი სიმართლე, დიდი სიამაფე, დიდი სიბრძნე, დიდი პირდაპირობა, დიდი ერთგულება და დღეს ამ ყველაფერს დიდი ტკივილიც დაემატა – მისი მონატრებით გამოწვეული დიდი ტკივილი.

– მისი თათბის შემოქმედთაგან ყველაზე ახლო ურთიერთობა ვისთან ჰქონდა?

– შეიძლება, ვინმე გამომჩინეს და ჩამოთვლის ძალიან მეშინია, თუმცა, იმის აღნიშვნა აუცილებელია, რომ თუ ადამიანს სამეგობროდ შეარჩევდა, მისთვის არც ასაკს და არც თანამდებობას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ბატონი ოტიას ძალიან დიდი მეგობარი იყო მეუფე ისაია, მისი თათბიდან თამარ ნიჭარაძე; ჟურნალ “დრუჟბა ნაროლოვის” რედაქტორი ალექსანდრე ებანიძე მასხენდებდა. გამოჩენილად უყვარდა რეჟისორი თორე იოსელიანი, ასევე ექვირფასებოდა კახა კახაბრიშვილთან ურთიერთობა. მეგობარზე მეტი იყო მისთვის თემურ კვპულაძე.

– ოტიას იუმორი ცალკე თემაა, ამის შესახებაც, რომ ვისაუბროთ...

– “ვაჭარაზე” ჩარგალში ვიყავით. არავინ ჩამოთვლის გადაჭარბებულ, თუკი ვიტყვი, რომ ოტია იოსელიანის გამოჩენა ხალხში ყოველთვის დიდ აღტაცებას იწვევდა. იქაც დანახეს თუ არა მწერალი, ჯერ ჩოქოლით გადაიარა ხმამ: “ოტია მოვიდა, ოტიაო!” მერე უმრავლესობამ სხვადასხვა წიგნი, უბის წიგნაკი თუ ფურცელი მოიმარჯვა და მწერალს ავტოგრაფისთვის გარს შემოურტყა. ერთი-ორი თვითონვე მოიცვალა, ზოგიც მე მოვიგერიე, მაგრამ რას განბედა ამდენ ხალხთან. ბატონი ოტია მათ გამოეყო და სწრაფი ნაბიჯით ვაჭარს სახლში შევიდა. იქაც რომ შეჰყვინენ, უკვე ვეღარ მოითმინა და აღმოვითუბლმა იყვირა: – რას შერებით, ხალხო, გედებრევა ვაჟა, ვინ გკითხავს შენ, ამ ჩემს სახლში ხელმოწერებს რომ არიგებო! ყველაზე უხშირად გადაძალა ხელმოწერებისთვის გამზადებული ფურცლები და ნელ-ნელა გაიპარნენ იქიდან. მე მოშორებით ვიდექი და ჩუმი ვიციხობო.

ერთხელ, ბატონი ოტიას ავიანზე ვისხედით და განაფხულის ნანატრ მზეს ხარბად ვეფიცებოდით. სტუმარი ვიყავი – ავთანდილ იოსელიანი. ოტიას ძალიან მოსწონდა ეს ახალგაზრდა კაცი. განათლებული და ნაკითხია, მაგრამ მეტისმეტად გულუბრყვილო და ჩერჩეტი, – ამბობდა. უცებ იქვე წამოწოლილი კატა ზღაპრით წამოიდა, ავთანდილს მიუახლოვდა, შეახტა და კალთაში ჩაუწვა.

– ბატონი ოტია, – მიმართა ავთანდილმა და თან კატას ალურსით გადაუსვა ხელი – გამიგია, კატა ადამიანის სხეულში დაავადებულ ადგილს გრძნობს და იქ იცის მოკლათუბაო, მართალია?

– კი, მართალია, – დაეთანხმა ოტია იოსელიანი – შენ, ეტყობა მეტი ზეთი არ ლეუშა, თვარა თავზე დაგაჯდებოდა. ავთანდილს არ სწყენია, პირიქით, თვითონაც ბევრი იცნა მწერლის პასუხზე.

– როგორც ვიცით, თქვენს შვილებთანაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა...

– ბატონ ოტიას არასდროს არაფერი გამოეპარებოდა. სულ ვფიქრობ, რომ პრველად სწორედ მან შენიშნა, ლევანი ბერობის გზას რომ აირჩევდა. რაღაც სხვაგვარად, გამორჩეულად პატივისცემით ეპყრობოდა. მაშინ ლევანი ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო, მაგრამ როგორც დიდა, ისე ესაუბრებოდა. არაერთხელ ჩამოვმსხდრავართ შორიახლოს მე და ჩემი უმცროსი ვაჟი ნიკა და დავგივდა აფრი მათი საუბრებისა თუ კამათისთვის. ოტია იოსელიანთან ურთიე-



რობა მარტო ჩემთვის კი არა, ჩემი შვილებისთვისაც დიდი სკოლა იყო.

– როგორი იყო მწერლის სიცოცხლის ბოლო წლები, ბოლო დღეები? ოტია იოსელიანის დაკრძალვას უმარავი ადამიანი დაესწრო მთელი საქართველოდან...

– მძიმე იყო იმასთან შეგუება, რომ ოტია იოსელიანი მოურჩენელი სენით იყო დაავადებული. ბატონი ოტია გასაოცრად ფლობდა და ეცნობდა საკუთარ სხეულს, ამიტომაც, სანამ ექიმები ანალიზის პასუხებს ელოდნენ, თავადვე მითხრა: “კობი მაქვს, თან ისეთი, მორევა გამიჭირდება!” თავიდან შევიცხადე, მაგრამ რამდენიმე დღეში ექიმებისგანაც იგივე პასუხი რომ მივიღე, მივხვდი, რომ უკვე მისი სიცოცხლის გახანგრძლივებაზე უნდა დაგვეწყო ზრუნვა.

ავსტრიის ამბები არასოდეს მომიყოლია. არც არასდროს მისაუბრია მის უკანასკნელ დღეებზე, მაგრამ, ვფიქრობ, არ მაქვს უფლება, მხოლოდ ჩემთვის დაავტოვო და ცოტა მაინც არ გავანდო ქართველ ხალხს (გეშუაობ წიგნზე, სადაც დაწერილებით აღწერე ყველა იმ დღეს და ფაქტს, რისი მომსწრეც გახლდით).

ფონდი “ქართუს” მხარდაჭერით 2009 წლის 12 დეკემბერს პირველად გავემგზავრეთ ავსტრიაში. ენაში რომ ჩავედით და კლინიკაში მოვთავსდით, მაშინდა გავაცნობიერე, რომ უნარმაზარი პასუხისმგებლობა წამოვიყვანე. ერის სათავეებზე კაცზე ზრუნვა ადვილი არ იქნებოდა, მით უმეტეს, რომ მთელი საქართველო ელოდა მკურნალობის შედეგს. თავიდან ქიმიო და სხივური თერაპია დაუნიშნეს, მერე რამდენიმე კვირა შეასვენეს და ოპერაციის დღეც დანიშნეს. არაერთი მძიმე ოპერაციის გადატანა მოუხდა ბატონ ოტიას. პირველი ოპერაცია, რომელიც 11 საათის გაგრძელდა, 19 მარტს ჩატარდა ვენის კლინიკაში. მთელი იქაური ქართველობა იქ იყო. არ შემიძლია, არ აღვნიშნო ვიქტორ დოლიძე, რომელიც მაშინ ავსტრიაში ელჩად იყო. ერთი დღე და ერთი ოპერაცია არ გამოუტოვებია, სულ გვერდით მყავდა. საფრანგეთიდან სატელეფონო ზარებით მაშინვევდა ოთარ იოსელიანი; მეუფე ისაია თითქმის ყოველ მერე დღეს მესაუბრებოდა ტელეფონით და ლოცვა-კურთხევით მაძლიერებდა.

ოპერაციამ და შემდგომმა პერიოდმა გართულებების გარეშე ჩაიარა, თუმცა, ბატონი ოტია რატომღაც თანდათან სუსტდებოდა. რა გემართება-მეთქი, რომ ვკითხე, მიაპსუხა: “ეს ჩემი ცა

არაა, ნენა, აქ ჩემი მზე არ ანათებს და უკეთესად რა გამხდისო.”

გული გამიჩერდა. მაშინვე ვითხოვე ექიმთან შეხვედრა და ყველაფერი ავუსხენი. კონსილიუმში ფსიქოლოგიც ჩაერთვნენ და საბედნიეროდ, ჩვენი საქართველოში გამოშვების გადაწყვეტილება მიიღეს. 5 აპრილს დაებრუნდი.

მწელი იყო ოტია იოსელიანისთვის თვალის გასწორება, როცა საყაცქზე დაკრული იწვა თვითმფრინავში. უფრო რთული კი იმის აღიარება იყო, რომ მგზავრობის განმავლობაში ერთხელაც არ გასწენია თვალის გახელის სურვილი...

მას შემდეგ ექვსჯერ მოვიხივდა ავსტრიაში გამგზავრება. კიდევ ორჯერ დასტირდა მძიმე ოპერაციის გადატანა. ბოლო ოპერაციის დროს ძალიან სუსტად იყო. ჩასვლისთანავე სასწრაფო კი არა, უკვე გადაუღებელი ოპერაცია დანიშნეს. მივხვდი, რომ ძალიან ცუდად იყო საქმე, ძალა მოვიკრიბე, ექიმებს შევხვდი და ვთხოვე: ეს ადამიანი შეიძლება თქვეთვის უცხო, პატარა ქვეყნიდან ჩამოსული 80 წელს მიღწეული ავადმყოფი მოხუცია, მაგრამ ჩვენი ქვეყნისთვის დიდი მწერალი, ქვეყნის უპირველესი გულშემამტკივარი და ხალხის უსაყვარლესი პიროვნებაა. ამიტომ, თუ ფიქრობთ, რომ ოპერაცია შეიძლება საკვალლო შედეგით დასრულდეს, ნუ მომიკლავთ აქ. გაგვიშვით საქართველოში, რადგან ოტია იოსელიანის სულის სხვა ქვეყანაში დატოვება, ათმაგი ტკივილი იქნება ქვეყნისთვის, ამ ცოდვას ვერც მე მოვინებებ და არც ერი არ მიაპატიებს არასდროს-მეთქი.

ოტია იოსელიანის ექიმი უნგრეთის დიდგვაროვანი ოჯახის შვილი იყო, მასთან ერთად ოპერაციას ქართველი ქირურგი სოსო ნანობაშვილიც ესწრებოდა. სწორედ სოსო ექიმის საშუალებით შემიძრა პროფესორი ტელევი, რომ ოტია იოსელიანი ოპერაციის გადატანას და საქართველოში გამგზავრებას შეძლებდა... ამის მერე კიდევ ერთხელ და უკვე მეშვიდედ ვეწვიეთ ამ კლინიკას, მაგრამ გამოკვლევების ჩატარების შემდეგ პროფესორ ტელევიც საიმედოდ აღარაფერი ჰქონდა ჩვენთვის სათქმელი...

2011 წლის 14 ივლისს ოტია იოსელიანი წყალტუბოში, საკუთარ სახლში გარდაიცვალა. დილითვე იცოდა, ის დღე უკანასკნელი რომ იყო მისთვის. ოთახში ბატონი ოტია, მე და ჩემი შვილი ლევანი ვიყავით. ლევანი თბილისში მიემგზავრებოდა და ადრიანად ავდექით. ბატონი ოტია კვლავსავე იყო გადამტრუნებული, ჩვენსგან არც მობრუნებულა, ისე თქვა: ეზოში სადაც მუხის ფიცრები უნდა იყოლო, რად გინდა-მეთქი? გავკვირვე. ცოტა ხანს გაჩუმა და ლევანმა იცისო, მიაპსუხა. ლევანი მართლა მიხვდა და გარეთ რომ გამოვივლით, მითხრა, მეგონა, აღსასრულს ელის და მუხის სასახლე უნდაო. შუადღისას კიდევ ერთხელ მიმანიშნა, რომ ვგტოვებდა: აქ რომ ხიხარ სულ, რაღაც რომ მოხდებოდა, გეიხურე კარი და გადი, მარტო არ დარჩე, გვედირევიო.

17 საათსა და 10 წუთზე ოტია იოსელიანი მართლა შეეღია თავის დიდებულ სულს და მიუხედავად იმისა, რომ ეს მისი უკანასკნელი თხოვნა იყო, ვერ შევუსრულე. – ის “რაღაც” რომ მოხდა, არ გავსულვარ ოთახიდან, არ გამიხურია კარი, არ მიმტოვებია...

ოტია იოსელიანი უკანასკნელ დამეს გელათის საკათედრო ტაძარში ევენა. ხალხმა დილიდანვე დაიწყო მოსვლა. სამა მეუფემ – მეუფე კალისტრატემ, მეუფე ისაიამ და მეუფე იოანემ გადაუხადეს პანაშვილი. მრავალი სასულიერო და კიდევ უფრო მეტი საერო პირი ესწრებოდა ამ ცერემონიალს და კაცს არ მოსვლია აზრად ეთქვა, მიცვალებულს ქუდი მოხადეთო.

ქუდმოხედელი იწვა ოტია, ქუდის მოხდას, ბოდიშის მოხდა მირჩევნიაო, იტყობა. ქუდმოხედელიც წავიდა, რადგან ერის წინაშე არც ქუდი ჰქონდა მოსახდელი და არც ბოდიში.

დასუკინი

საქართველოს მოუკვდა დიდი მწერალი და მოაზროვნე, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული მამულიშვილი, ქართული პროზის რაინდი ოტია იოსელიანი. ის ორიგინალური მოვლენა თანამედროვე ქართულ მწერლობაში, ვინც სიცოცხლეშივე აღიარა მადლიერმა მკითხველმა კლასიკოსად.

ორიგინალური იყო ოტია იოსელიანი, როგორც მხატვარი და როგორც ადამიანი. მწერალი ისე ცხოვრობდა როგორც წერდა. ამიტომ ყველა მიხეუვლი ვიფიქროვებ მის კატეგორიულობას, პრინციპულობას, შეუირებლობას. როცა ქართველ კაცს მამის სახელი და ეროვნების დასახელება გაუუქმეს პირადობის მოწმობაში, ოტია იოსელიანის თხზულებათა ავტორიტეტზე გაჩნდა ავტორის ვინაობის წარდგენის ორიგინალური ფორმა – “ოტია შალვას ძე, შალვა ფარნაოზის ძე, ფარნაოზ ბიჭიას ძე იოსელიანი” ამით მწერალმა ის თქვა, რასაც გრძობს (უნდა გრძობდეს) ტრადიციებზე აღზრდილი ქართველი კაცი, ვისაც წინაპართა ხსოვნა თავის პირად დასახელებად მიანიჭა.

ოტია იოსელიანის სახელი პირველი ნიმუშების გამოქვეყნებისთანავე გახდა პოპულარული მკითხველთა შორის. ხოლო პირველი რომანი “ვარსკვლავთცივნი” მან სამუდამოდ დამკვიდრა საკუთარი ადგილი ქართულ მწერლობაში. სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო მწერლის ცხოვრებაში მისი თხზულების ავტორიტეტის გამოცემით. ამ გამოცემამ

თავი მოიყარა მწერლის ყველა ღირებულმა ლიტერატურულმა ქმნილებამ და მკითხველმა უშედავითოდ უწოდა მწერალს ცოცხალი კლასიკოსი. 2007 წელს სპეციალურად შეკრულმა ოტია იოსელიანის შემოქმედების შესწავლას მისი თხზულებების ავტორიტეტის საფუძველზე. 2008-2010 წლებში გამოაკვეთნენ ათი წერილი პროზისა და პოეზიის, ხოლო სამი წერილი პედაგოგიური შეხედულებების თემაზე. მწერალი, ცხადია, გულდასმით ეცნობოდა ამ წერილებს და 2009 წლის გაზაფხულზე დამირეკა და თანხმობა მოხოვა, მისი ცნობილი “ჩემი ასავალ-დასავალი” ახალი გამოცემისათვის ჩემი პირველი წერილის თანდართვის შესახებ. 2009 წელს გამოვიდა ეს წიგნი, რომელსაც წინ უძღვის ჩემი ნაშრომი, “ოტია იოსელიანის ‘ასავალ-დასავალი’”. 2010 წელს გამოქვეყნდა მწერლის “რჩეული”. ამ ტომს ბოლოში აქვს დართული “ადამიანური შესაძლებლობათა უსაზღვრობა” (წერილი მეორე). ეს იყო ჩემთვის უდიდესი ბედნიერება – ოტია იოსელიანს მოეწონა ჩემი წერილები! შემდეგ იყო პირველი შეხვედრები. ორჯერ სპეციალურად მოვახმადე ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფები და შევახვედრე მწერალს წყალტუბო-გვიშტბაში.

სტუდენტები დიდი სიყვარულით სწავლობდნენ მწერლის შემოქმედებას. ეს შეხვედრები იწყებოდა ჩემი განცხადებით: “ბატონო ოტია, დღეს თქვენთან მოვიდნენ ბათუმელი სტუდენტები არა როგორც მომკითხველები, არამედ როგორც მკითხველები”. ამ სიტყვების მოსმენაზე წამით შეჩერდებოდა, დაკვირვებით გადავხედავთ თვალს სტუდენტებს, მაგრამ შემდეგ მაინც გული-სტკივლით განაგრძობდა თავის სათქმელს: “ახლა არავინ კითხვობს წიგნს”. ამას მოჰყვებოდა კრიტიკული შეფასება საქართველოში წიგნისა და მკითხველის ბუდის შესახებ; და იტყოდა, რაც კაცობრიობას უაზროვნია, წიგნშია მოქცეული. თუ არ წაიკითხავი, დაგბრუნდება გამოქვეყნებული. მიუხედავად ამისა, ბათუმელი სტუდენტები ნაწილობრივ მაინც ახერხებდნენ მწერლის კრიტიკული შეხედულებების შერბილებას ახალგაზრდების მიმართ და საქმიანი შედეგებით უმტკიცებდნენ მწერალს თავიანთ ნაყთობობას. განსაკუთრებული სიხარული მივანიჭეთ საყვარელ მწერალს მეორე სტუმრობის დროს 2010 წლის ოქტომბერში. ბატონ ოტიას მოვახსენე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ოცკაციანი ჯგუფის მიერ “ვეფხისტყაოსნის” სრული ტექსტის ზეპირად დასწავლის მიმდინარეობის შესახებ.

ემდეგ სტუდენტებმა ზეპირად წარმოსთქვეს პოემის შესავალი ნაწილი. წარმოდგენილი სიხარული ითხებოდა ბატონი ოტიას სახეზე და კმაყოფილება, განაცხადა: ამზე უკეთესი საჩუქარი ჩემთვის დღემდე არავის მოუძღვია. კიდევ უფრო გაიხარა, როცა უუთხარით, რომ სტუდენტთა ეს ჯგუფი ყოველი წლის 19 მაისს ბათუმის უნივერსიტეტში გამართავდნენ “ვეფხისტყაოსნის” სრული ტექსტის ზეპირად კითხვის ლიტერატურული საღამოს. შეხვედრას ესწრებოდნენ ქუთაისიდან პოეტი ზაალ ებანიძე, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ოთარ ჭუმბურიძე, ბათუმიდან პოეტი და პროფესორი შოთა ზოიძე და პროფესორი რამაზ ხალვაში.

უკიდურესი გართულება ჰქონდა ჩემს სახელთან დაკავშირებით. არც მე და არც საქართველოს სახალხო არტისტს, ბათუმის თეატრის მსახიობ ოური ცანავას “ოურის” არ გვეძახოდა. “თქვენ ქართველები ხართ, რათ გინდათ აირუსული სახელები, დელია საქართველოში თქვენი შესაფერი სახელი?” და ორივეს გიორგი შეგვარქვა. 2009 წელს საჩუქრად გამომიგზავნა მისი საუკეთესოდ გამოცემული ავტორიტული ასეთი წარწერით: “ბატონ გიორგი (ოურა) ბიბლიოთეკის! ჩვენი შემოქმედებითი მეგობრობის საწინდრად იმედით, რწმენით, მადლიერებით ოტია იოსელიანი, 14. 11. 2009. წყალტუბო-გვიშტბაში. იმავე წელს გამოვიდა “ჩემი ასავალ-დასავალი” და ასეთი წარწერა გაუკეთა: “ბატონ გიორგი (ოური) ბიბლიოთეკის! ჩვენი შემოქმედებითი მეგობრობის საწინდრად იმედით, რწმენით, მადლიერებით ოტია იოსელიანი, 26. 12. 2009. წყალტუბო-გვიშტბაში.

2010 წელს ანალიზური გულთბილი წარწერით გამომიგზავნა ახალი რჩეული, მაგრამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა 2011 წლის 28 მაისს გამოგზავნილ წიგნზე “ქალი მაინც ქალია” გაკეთებულმა წარწერამ. მასში სრულიად აისახა პოეტ თეიმურაზ ლანჩავას ლექსში რეალისტური სახე წერილისა, რომელიც “ისე გვემუსაფავება, თითქოს ტოლთან იჯდე”. ტოლი – ზუსტად ასეთი განწყობა დამეუფლა, როცა წავეითებე: “ბატონ გიორგი (ოური) ბიბლიოთეკის! ჩვენი მეგობრობა საქართველოს სულიერი გადარჩენისათვის ბრძოლაა. ბრძოლას კი ყოველთვის აქვს აზრი! იმედით, რწმენით ოტია იოსელიანი, 28. 05. 2011. წყალტუბო-გვიშტბაში. ასე მხოლოდ შეუძრება დიდი ადამიანები გამოხატავენ თავიანთ თანადგომას უბრალო მოვედავად.

დაუვიწყარი ოტია იოსელიანი მადლიანობით ადამიანობის ნიმუშის მნიშვნელობით განაგრძობს სიცოცხლეს ჩემს გულში.

ოტია იოსელიანი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

შეცდომა უნდა გახდეს...

ახალი წიგნები

ლევან გაბაჩიაძე



– “ვერავითარმა ტექნიკამ ვერ შეძლო ისეთი ფუნქციონირების გამოვლენა, რომელიც წიგნით შედრავდა მთელ სამყაროს. არ არსებობს ისეთი ფორმა, ისეთი რეინა-ბეტონი, ნაბეჭდი ნიშნებით დაფარულ პატარა ქაღალდის დასტას რომ გადააჭარბებს მარადიულობით. ენერჯის არც ერთ წყაროს არ ძალუძს შექმნას ისეთი შუქი ზოგჯერ სულ პატარა ტომიდან რომ ასხივებს...”

ეს გახლავთ ამონარიდი მიმდინარე წლის 3 ივნისს, გახეთ “საქართველოს რესპუბლიკაში” საბიბლიოთეკო სისტემის დეველოპმენტი მუშაკის, ჩვენი თანამემამულის, ქალბატონ ვლენარა სტურუას მიერ გამოქვეყნებული წერილიდან “სულ სხვა საუნივე”. წერილში ავტორი ავითარებს იმ აზრს, რომ ქვეყანაში ბიბლიოთეკების არსებობის შეწყვეტა დამოუკიდებელი საქართველოს ხელახალ დაბადებას უკავშირდება. სწორედ იმ დროს, როცა კულტურისა და განათლების მუშაკები, ათასეულით მკითხველთან ერთად გარდაქმნის, აღორძინებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების მოლოდინში იყო, ბიბლიოთეკების ქსელი მნიშვნელოვნად შემცირდა. სადავო არ უნდა იყოს, რომ ბევრგან გვხვდებოდა კარგად მოწყობილი, უმოქმედო ბიბლიოთეკები, თუმცა, იმის უთქმელობაც არ იქნება მართალი, რომ ბიბლიოთეკების უმრავლესობა, განსაკუთრებით სოფლებში, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის კულტურული აღზრდის საქმეში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მეოცე საუკუნის მიჯნაზე ქართველი შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შესწავლის და წვერები ერთ-ერთ მთავარ მისიად მიიჩნევენ ქონ-სამკითხველოების დაარსებას.

ახსოვთ ჩვენი და ჩვენზე უფროსი თაობის წარმომადგენლებს სოფლის ბიბლიოთეკების, სასოფლო კლუბების ორგანიზებით ჩატარებული განათლებული, დიას, განათლებული ღონისძიებები. მერე, ბიუჯეტის საამებლად, სოფლები კულტურული ობიექტების გარეშე დატოვეს?! ვემიჯნებით, რატომღაც, ბოლო ხანებში დამკვიდრებულ ტრადიციას – ყოველი დანაშაულის პოლიტიკურ ოპონენტებზე გადაბრალებით რომაა გამოხატული, ჯიუტად ვართ დარწმუნებული, რომ გამოუსწორებელი დანაშაული არ არსებობს.

ამდენად, თუ ბიბლიოთეკების დახურვა, სკოლების გამსხვილება (ობტიმისაცია) წინა ხელისუფლების დროს მოხდა, ხომ შეიძლება მრუდი გასწორდეს, შეცდომა, ბოლოს და ბოლოს, გამოსწორდეს?

როგორც ქვეყანაში საერთოდ, ისე სამტრედიის მუნიციპალიტეტშიც არაერთი ბიბლიოთეკა გაუქმდა. ასეულობით უშევათესი წიგნი უმოქმედოდ აწევდა თაროზე და ამაოდ ელიან მკითხველს.

ერთი შეკითხვაც, რა ფინანსური სარგებელი მოგვცა ბიბლიოთეკების შემცირებამ ისეთი, რაც გვავნო?

ამდენად, თუ ხელისუფლება ადგილობრივი ძალებით, დონორი ორგანიზაციების დახმარებით მოახერხებს და აღადგენს სოფლებში ბიბლიოთეკებს, სკოლებს, სასოფლო კლუბებს... ამით ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს საზოგადოებას, ახალგაზრდობას.

მრავალწილის ნათქვამს გავიმეორებთ, ყველა ინვესტიციამ მჭირფასია ახალგაზრდობის სულიერ-ინტელექტუალურ აღზრდაში ჩადებული ინვესტიცია თანხა, ამდენად...

ერთი არცთუ შორეული წარსული გამახსენდა, სოფელ ტანძიანში სამ ბავშვზე სკოლა გახსნა კომუნისტური საქართველოს მთავრობამ.

სულხან საბა ორბელიანი ერთი იყო მაგრამ ევროპაში ცნობილი... არგუმენტად მოიტანა თურმე მაშინ განათლების ნეტარსხენებულმა მინისტრმა. მართალია, კომუნისტების მმართველობისას რომ იყო, ისეთი ფუფუნება ამჟამად არაა, მაგრამ სადაც მონდომება, მიუღწეველი არაფერია.

რავი, ასე თუ ისე, ჩემი გულსტკივილი გავახსენებ, ორიოდე სიტყვა გვსურს მიმდინარე წლის საბიბლიოთეკო კვირეულისა და ამ კვირეულში სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის მონაწილეობაზეც ვთქვათ, რომელიც წელს განსაკუთრებით ნაყოფიერი და დატვირთული იყო.

შემეცნებით-ინტელექტუალური ღონისძიებებით მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა (დირექტორი ქალბატონი ლამარა ღუნდია) ხშირად ანებიერებს საზოგადოებას.

არაგნებინებო მცხოვრები ემიგრანტის, ლეო ჭეიშვილის მოღვაწეობაზე მიძღვნილი, დამსახურებული ექიმის გენო გეგემიძის წიგნების პრეზენტაცია, თანამედროვეობა და გენდერი, ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვარ-კარიკატურისტის შოთა ავალიას პირველი პერსონალური გამოფენა... მხოლოდ ნაწილია მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის მიერ კვირეულის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებებისა, დამსწრეთა მალაღობა შეფასება რომ დამსახურეს, მადლობას იმსახურებენ ამისათვის პროფესიაზე უმომოდ შეყვარებული ბიბლიოთეკაში მოღვაწე ქალბატონები.

წერილს ისევ ქალბატონი ვლენარა სტურუას სიტყვებით დავასრულებთ: “წიგნი არის ყოველგვარი ცოდნის ალფა და ომეგა, ყოველი მეცნიერების საწყისთა საწყისი”.

დაუბრუნეთ ბიბლიოთეკები ხალხს, მკითხველი – ბიბლიოთეკებს. ეს ჩვენ, ჩვენ ზვლინდელ დღეს – ახალგაზრდობას სჭირდება.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკამ შეიძინა ახალი წიგნები. ზოგიერთი მათგანი ქართულად პირველად იბეჭდება.

1. პროტოპრესვიტერი ალ. შემანი – “მართლმადიდებლობის ისტორიული გზა”;
2. ნ. ასათიანი – “საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე”;
3. იუნგი – “ფსიქოლოგია და რელიგია – პასუხი იობს”;
4. სამუელ კრისტინ ფრიდრიხ პანეგანი – “სამედიცინო ხელოვნების ორგანიზაციის (პროპაგანდის ძირითადი პრინციპები)”;
5. გურამ ყორანაშვილი – “ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხი”;
6. სერგო ადამია – “ქიმიკი, გარდაცემული კურსი”;
7. დიდი კარნეგი – “როგორ მოვაპოვოთ მეგობრები”;
8. დიდი კარნეგი – “როგორ დავძლიოთ მღელვარება და დავიწყოთ ცხოვრება”;
9. სურგულაძე აკ. სურგულაძე – “საქართველოს ისტორია”;
10. ზიგმუნდ ფროიდი – “მასების ფსიქოლოგია და მე-ს ანალიზი”;
11. ნიკოლოზ სააკაშვილი, თამარ ჩილინგარიშვილი – “საქართველო ტურინშია და კურორტების ქვეყანა”;
12. “საერთაშორისო სამართალი”;
13. “საქართველოს 100 მუზეუმი”;
14. გვანარია გ. – “ცემლიანი სათვალე”;
15. ჟორჟ სანდი – “ინდიანა, მოზაიკის ოსტატები”;
16. ფრედერიკ მარაუტი – “გემი – მოჩვენება – საზღვაო თავგადასავალი”;
17. ჯონ გრინი – ბედის ვარსკვლავის ბრალია”;
18. ფრანც კაუკა – “რჩეული მოთხრობები”;
19. პოლ ოსტერი – “მისინს ღამე”;
20. ფრედ ვარგასი – “წადი სწრაფად, დაბრუნდი გვიან”;
21. ჯულიან ბარნსი – “დასასრულის განცდა”;
22. ფრედ ვარგასი – “მარადიულ ტყესა შინა”;
23. რომენ გარი – “ცხოვრება წინაა”;
24. ალბერ კამიუ – “სინთის მითი-ესეი აბსურდის შესახებ”;
25. ალ. კამიუ – “უცხო”;
26. ალ. კამიუ – “მაგი ჭირი”;
27. ერ. ჰომანი – “სატანის ელექსირები”;
28. შ. დე ლაკლო – “სახიფათო კავშირები”;
29. კ. კონრადი – “ლორდი ჯიმი”;
30. მ. დოურასი – “საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან”;
31. რ. საბატინი – “დამეული გართობანი ისტორიის მიღმა”;
32. გარი რომენი – “თეთრი ძაღლი”;
33. ოსნე საიშტადი – “გროზნოს ანგელოზი”;
34. “შშ-ბლის ენციკლოპედია”.

6. გაბაჩიაძე
საბიბლიოთეკის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი

მადლობა

სოფელ დაფნარის მცხოვრებნი მადლობას მოახსენებენ “სახლი თანადგომას” დირექტორს, ქალბატონ მზევეინარ ბოხუას, გომის თემის მკორიტიარ დეპუტატს ბატონ დავით ამალობოლს, მუნიციპალიტეტის გამგეობასა და გომის თემში გამგეობის წარმომადგენლებს, ბატონ ზაზა ნიკოლეიშვილს სოციალურად დაუცველი მათი თანასოფელის, ტარიელ სულაქველიძისადმი გამოჩენილი ყურადღებისა და თანადგომისათვის.

კეთილ ადამიანთა მისამართით მადლობას არც თავად ტარიელ სულაქველიძე იშურებს და ამბობს, რომ უსახლკაროდ დარჩენილს პატარა საცხოვრებელს (სახლს) როგორღამ გამოუყოფენ, რათა მცირი ზამთრისა და სუსხის პირისპირ არ დარჩეს.

ფოსტობთან დაბრუნება – ჭობნარის სკოლა იმანე ჯაშის სახელობისა

ნათია ნაცვლიძე

ჭობნარის საჯარო სკოლის შენობაზე ახალი აბრა გაუწყებთ, რომ იგი ამიერიდან ივანე ჯაშის სახელობისაა. ამ პატარა სოფელმა უამრავი ინტელიგენტი აღწარმოა საქართველოს, სახელოვანი მეცნიერი ივანე ჯაშიც მათ შორისაა. მრავალრიცხოვანი დელეგაციის სტუმრობის მიზეზი ჭობნარის სკოლაში სწორედ ეს სახელი გახლდათ. ივანე ჯაშის აღზრდილი მეცნიერები და ოჯახის წევრები სკოლას ეწვევნენ, საჯაროდ რომ ჩონატარისაკენ მიმავალ გზაზე მდებარე ეს პატარა სოფელი მწვანე საბურველში გახვეული მთა-გორებით ხიბლივს მზახავდნენ. სოფლის იდილით ამჯერადაც დატკბნენ როგორც ივანე ჯაშის ოჯახის წევრები და ახლობლები, ისე სხვა სტუმრები დედაქალაქიდან.



1901 წელს, როცა ივანე ჯაში მოეკვლია ქვეყანას, ჭობნარი ოზურგეთის მაზრის შემადგენლობაში იყო მოქცეული.

ივანე ჯაში მრავალრიცხოვანი ოჯახის წარმომადგენელი იყო. ოჯახში 5 ვაჟიშვილი იზრდებოდა. მისი მამა – ლეონტი ჯაში თავისი დროის თვალსაჩინო პიროვნებას წარმოადგენდა. ის დიდი ხნის მანძილზე ხელმძღვანელობდა მის მიერ დაარსებულ ორკლასიან სკოლას ჭობნარში და მშობლიური ენის სიყვარულს უნერგავდა სოფლის ახალგაზრდობას. ის იყო სოფელში ბიბლიოთეკის და კოლოპერატის დაარსების, ასევე სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო წამოწყების ინიციატორი.

ივანე ჯაში გახლდათ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პრორექტორი სამეცნიერო ნაწილში, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, მრავალი ათეული მეცნიერული შრომის ავტორი სოფლის მეურნეობის დარგში, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

მას გარკვეული წვლილი მიუძღვის საქართველოს დამოუკიდებელი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაფუძნებისა და სრულყოფის ორგანიზაციაში.

1929 წელს, როდესაც უნივერსიტეტის აგრძობის ფეხსემატი ბაზაზე შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებელი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ივანე ჯაში დაინიშნა ამ ინსტიტუტის ასპირანტურის ხელმძღვანელად, ხოლო 1930 წლიდან – დირექტორის მოადგილედ სასწავლო და სამეცნიერო ნაწილში.

ქალბატონმა იზო ვაჩეიშვილმა, ჭობნარის სკოლის დირექტორმა შეკრებილთა ივანე ჯაშის ბიოგრაფია გააცნო და აღნიშნა, რომ სამტრედიელთათვის საამაყო ამ პიროვნების ხსოვნას სკოლა ღირსეულად შეინახავს. მისივე თქმით, სოფლის მოსახლეობაც საყოველთაო სიხარულს გამოთქვამს სკოლისათვის ამ ბუმბერაზი პიროვნების სახელის მინიჭების გამო. ქალბატონმა იზო ვაჩეიშვილმა ოჯახის წევრებს მადლობა გადაუხადა საჩუქრებისათვის. მათ სკოლის ბიბლიოთეკას წიგნები და სკოლას გარკვეული რაოდენობის თანხაც გადასცეს.

მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, სიმონ შარაძემ აღნიშნა, რომ მას იშვიათად შეხვედრია იმ სიღინჯის, სიღარბის მქონე მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, როგორც ივანე ჯაში იყო. “შქონდა ბედნიერება, პირველი კურსიდან მისი სტუდენტი ვყოფილიყავი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ის იყო გამორჩეულთა შორის გამორჩეული”. – აღნიშნა მან.

ახსიათა მან ივანე ჯაში და ქალბატონ იზო ვაჩეიშვილს გადამსცა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გურამ ალექსიძის წერილი, სადაც ის აკადემიისა და მისი სახელით ულოცავს სკოლას ღირსეული მეცნიერის სახელის მინიჭებას და გამოთქვამს იმედს, რომ ამ პატარა სოფლის სკოლაში ბევრი სახელოვანი ქართველი გაიზრდება.

სკოლაში სტუმრად იმყოფებოდნენ ივანე ჯაშის სიძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომგებთი მეტეორი, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, მინდია სალუქვაძე და მისი მეუღლე, ივანე ჯაშის ქალიშვილი, თამარ ჯაში. მათ ორი შვილი ჰყავთ – მარინა და მანანა. მარინა ჩვენი კოლეგა, ჟურნალისტი და მას მთელი საქართველო იცნობს, ხოლო მანანა – ილიას უნივერსიტეტში საერთაშორისო პროექტების ფინანსური მენეჯერია. ივანე ჯაშის ორივე შვილიშვილი თავიანთი შვილებით ესტუმრნენ ჭობნარის სკოლას.

ქალბატონმა თამარ ჯაშმა ივანე ჯაშის შვილის სახელობის თსუ-ს დასავლეთ ევროპული ენების და ლიტერატურის ფაკულტეტის პროფესორმა, ჩვენთან საუბარში განაცხადა:

“მამას ეს სოფელი საოცრად უყვარდა. ლეონტი ჯაში, ბაბუაჩემმა დაარსა პირველად აქ სკოლა. ის ძალიან განათლებული კაცი იყო, მისი ძმა, ილია ჯაში ამ “უეზში” პირველი ექიმი იყო. შემდეგ ბიძაჩემი იუსტინე ჯაში იყო ამ სკოლის დირექტორი, მის შემდეგ მისი შვილი, თამარ ჯაში. ბაბუას ჰქონდა თავის სახლში “ბესედეკა” და ამბობდა, აქედან ფოთი სწავნილი. 5 ვაჟიშვილი ჰყავდა ბაბუას, 5-ეკმ მიიღო უმადლესი განათლება. მამა დარჩა თბილისში, დაიცვა დისერტაცია, იყო ინსტიტუტის პრორექტორი, 40 წლის განმავლობაში უძღვებოდა სამეცნიერო ნაწილს. აქვს ბევრი მეცნიერული შრომა, ბევრი აღზრდილი ყავს. აქ ხშირად ვერ ვახერხებთ ჩამოსვლას, გადმოცემით მსმენია, რომ 1 წლის ვყოფილვარ სამინდად ავად გაემხდარვარ, წყალი გადაწურული მქონია, გველებოდი, ავიყვანოთ იქ და ამომიყვანეს და გადავრჩი თურმე. მე ავდნენ არაჩვეულებრივი ნათესავები. ბიძა, ბიცოლა, ბიძაშვილები. ბიძაქიმის, იუსტინეს სურვილი იყო, ივანე ჯაშის სახელი დარქმობოდა ამ სკოლას, რომელსაც ჯაშების სკოლას უწოდებდნენ”.

მარინა სალუქვაძე: “ძალიან დიდი ბედნიერებაა, რომ ბაბუას სახელი ეწოდა ამ სკოლას, ბაბუა ძალიან თბილი პიროვნება იყო. არავის ახსოვს მისი ხმის აწევა, არავინ არასოდეს გაუღიანებდას, ეს სიგლახეაო, იტყოდა, როცა რაიმე არ მოეწონებოდა. ის იყო დიხვი, კეთილი, დარბაისელი, კიდეც ერთხელ დიდი მადლობა ბაბუის ხსოვნის დაფასებისათვის. პატარა გოგო ვიყავი, როცა მიყვებოდა თავის საოცარ სოფელსა და ეზო-კარზე. აქ

აურობა ძალიან უყვარდა, ბაბუას სული ახლა მართლაც ბედნიერია და ხარობს”.

ვალერი ფოცხვერია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი:

“ჩვენთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ ამ სკოლას გამოჩენილი მეცნიერის, ივანე ჯაშის სახელი მიენიჭა. სამტრედიის მუნიციპალიტეტში შექმნილი ეს ლამაზი სოფელი, რომელიც თურმე წარსულში ოზურგეთის მაზრაში შედიოდა. სადაც არ უნდა დაბადებულიყო ეს ადამიანი, ყველა კუთხისთვის იქნებოდა საამაყო. მადლობა ამ სკოლის ხელმძღვანელობას და ყველა პატარას, რომელთაც ეს ლამაზი ღონისძიება მოაწყვეს”.

ალექსანდრე თევზაძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე, პედაგოგი:

“მოხარული ვარ, რომ დღეს ჭობნარის საჯარო სკოლას მიენიჭა დიდი მამულიშვილის, ივანე ჯაშის სახელი. ტენდენციაა, რომ მამულიშვილთა სახელები მიენიჭოს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ძალიან კარგია. ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ კიდეც ერთხელ წინაპართა ფესვებს. ნახეთ რა შესანიშნავი შთამომავლობა ჰყავს ბატონ ივანე ჯაშს. ყველა დიდი მამულიშვილის ფესვები სოფლიდან იღებს სათავეს. მინდა ყველას, ვინც ამ საქმეში შეიტანა წვლილი, მადლობა ვუთხრა, სკოლას კი ვუსურვო, რომ არასოდეს შეერცხვინოთ ამ დიდი მამულიშვილის სახელი”.

შავლე თარგამაძე, მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი საჯარო სკოლაში:

“მინდა მივულოცო ჭობნარის სკოლას და ქალბატონ იზო ვაჩეიშვილს, რომ ამ დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ივანე ჯაშის სახელი ეწოდა სკოლას. ფაქტია, რომ მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს ეს ამ სკოლასაც და თემის ყველა მაცხოვრებელს. ეს არის მართლაც ძალიან კარგი საქმე”.

სკოლას მცირერიცხოვანი კონტინენტი ჰყავს, სტუმრები ძალიან შეწუხდნენ, როცა გაიგეს, რომ აქ სულ 35 ბავშვია, თუმცა როგორც მათ აღნიშნეს, ეს ბავშვები ნიჭიერებით და სისხარტით დედაქალაქის სკოლების მოსწავლეებს არ ჩამოუვარდებიან. სკოლის მოსწავლეებმა საინტერესო მხატვრულ-ლიტერატურული კომპოზიცია წარმოადგინეს, სტუმრების პატივსაცემად შეასრულეს სიმღერები თბილისზე. სკოლის მუსიკის პედაგოგმა ქეთევან მეფარიშვილმა მოსწავლეებთან ერთად იმღერა. მან და სოფლის კლუბის ხელმძღვანელმა, სკოლის ბიბლიოთეკარმა, მადონა მსხილაძემ ასევე შეასრულეს სიმღერა სოფელზე და დარბაზში დადებითი მუხტი შემოიტანეს. შეხვედრის ბოლოს სტუმრებს ქალბატონი იზო დაპირდა, რომ სახელოვანი მეცნიერის სურათს არასოდეს მოაკლებენ ყვაილებს, ღირსეული პიროვნებისთვის ივანე ჯაშისთვის ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი საჩუქარი თურმე ყვაილები იყო.

მოსწავლეობის დიდი მოლოდინებით

როგორც არასდროს, ისე უცემდათ გული. საგანგებოდ მოწვიბილი სანახობა მე-12 საჯარო სკოლის მეოთხეკლასელებმა სტუმრებისთვის გამართეს. ზედმიწევნით კარგად ნასწავლი სასკოლო პროგრამა არ იმართეს და კლასგარეშე ლიტერატურის ცოდნითაც მოიწონეს თავი. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან მათ, ჯერ ისევ მოულოდნელობისგან თვალგაბრუნებულ პატარებს, პირველივე კლასის დიდფანჯრიან საკლასო ოთახში სვეტა მასწავლებელი შეუძღვა. დედობრივი მზრუნველობით შეასწავლა „დედაენა“ და ცოდნის დაიდ სამყაროში გაუკვალა გზა. ასე ოთხმა წელიწადმა გაიბინა. თეთრი ცარცით აჭრელებული შავი დაფა კრიალოსნის მარცვლებით თვლიდა წიგნის ფურცლებთან გატარებულ დღეებს. ასოები და ციფრები ხელის ერთი მოსმით იწერებოდა და იშლებოდა. პირველი მასწავლებლის დიდი მონღომებით, დაუღალავი შრომით, მშობლების დახმარებით, ცოდნის ლაბირინთებში მოგრძობული ნაბიჯები გადადგეს სვეტა ქობულაის აღსაზრდელებმა. მან აგრძობინა „აი იას“ წაკითხვის იდუმალება, მოსწავლეობის ბედნიერება და ქართველობის მაღლი თვალხატულა გოგო-ბიჭებს. პოდა, ამაგს დაგიფასებთო, — დაპირდნენ. თუმცა, დანაპირების ასრულების პირველივე მარცვლი იმ ღონისძიებებზე სიურპრიზად მოუშნადეს. აღბათ, არსად საქართველოში, მხოლოდ აქ, მეთორმეტე საჯარო სკოლაში მოსწავლეებმა სიმბოლურად გაუხსნეს ვარსკვლავი მასწავლებელს, მათი პირველი მასწავლებლობის ტვირთი რომ იყოსრა. და არც ყოფილმა მოწაფეებმა დაივიწყეს მის ფრთხილქვეშ გატარებული პირველკლასელობა. უკვე ჩავლილი სასწავლო წლის კურსდამთავრებულებმა, მეთორმეტეკლასელებმა, რამდენიმე მუსიკალური ნომრით უთხრეს მადლობა.

სიმღერას აყოლილი ცეკვა, ჩუქურთმად გართობული ლექსი, არაერთი თეატრალური ინსცენირება, პედაგოგების პაროდები — რა არ დაიტია იმ საღამომ, მეხუთე კლასში გადასვლის წინ მე-12 საჯარო სკოლის ლამაზად მორთულ დარბაზში რომ გაიმართა. თვალგებზე ცრემლად მომდგარი გრძობები სვეტა ქობულაის იმ დღესაც ისე აწვალდა, როგორც ყოველთვის, როცა დაფრთხილებულ თაობებს კიდევ ერთი ემატება. ესეც მორიგი იყო. მათ შემდეგაც ბევრი იქნებოდა, რადგან ბავშვი ყველაზე უკეთ გრძობს, ვინ შეიფაროს, ვის მიენდოს ბავშვური გულწრფელობით.

სკოლის მეხუთეკლასელთა სიაში უკვე ეს პატარებიც ირიცხებიან მოსწავლეობის დიდი მოლოდინებით. სწავლის შარავნაზე სვლა ოთხი წელია, რაც დაიწყო. წინ აღმართება ცოდნით დასალაშქრი. მათი პირველი მასწავლებლის აღზრდილებს ამის საფუძველი ძლიერი აქვთ.

თბაკაშვილი



ო, ძვირფასო ოთხი წელიწადი...

მე-10 საჯარო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლეები გამოსაშვებ ზეიმზე მეტად საინტერესო პროგრამით წარდგნენ. პატრიოტული სულისკვეთება და ქრისტიანული მორალი გასდევდა მთავარ ხაზად მათი დამრიგებლის, პედაგოგ ნესტან აბალობელის მიერ მომზადებულ ღონისძიებას. პედაგოგმა იგი ორ ნაწილად

ემ დავითი გამორჩეულად დაასაჩუქრა წიგნით. დანარჩენ მოსწავლეებს კი სპეციალური სიგელები დაურიგა. სახალი-აგლებლის პედაგოგიურ ღირსებებს. წარმატებებს გისურვებთ ბავშვებო, მადლობა მშობლებს თანადგომისთვის. კიდევ მრავალი წარმატება გქონოდათ“.

აგლებლის პედაგოგიურ ღირსებებს. წარმატებებს გისურვებთ ბავშვებო, მადლობა მშობლებს თანადგომისთვის. კიდევ მრავალი წარმატება გქონოდათ“.

ნათა ნადგობიძე



დაპყო: პირველი, შემეცნებითი ნაწილი, პატარებმა საკუთარი სამშობლოს ისტორიის, კულტურის, ხელოვნების მეცნიერებების და ლიტერატურის შესანიშნავი ცოდნა გამოავლინეს. მეტიც, ყველა მათგანი საქართველოს უძლიერესი მეფეების როლში მოგვევლინა და პირველ პირში მოგვითხრეს ამ მეფეთა გაწეულ ღვაწლსა და დიდებზე, ისაუბრეს „დედა ენაზე“, მის მნიშვნელობაზე, „ვეფხისტყაოსანზე“. ქართული ანბანის და ქართული წიგნის დაარსების ისტორიაზე. საქართველოს რუკა აფხაზეთსა და სამაჩაბლოს გარეშე და შემდეგ გერთიანებული და მთლიანი წარმოადგინა გივი ლორიაშვილი. დავით ოჩიაიამ კი კიდევ ერთხელ გამოავლინა დეკლამაციის საოცარი ნიჭი და უღამაზესი პატრიოტული ლექსები წაუკითხა პუბლიკას. თბილისის ესთეტიკური აღზრდის ცენტრში გამართულ მხატვრული კითხვის კონკურსში მან გამარჯვება და გრანპრი მოიპოვა, მე-10 სკოლაში დაწვებითი კლასების ხელოვნების წრე მუშაობს (ხელმძღვანელი ირმა ნამჩავაძე), ამ წრის წვლილი დიდა დავითის წარმატებაში. სკოლის დირექტორმა, მაყვალა თევზაძე-

სო ნაწილში კი პატარებმა მართლაც ცეცხლი დაანთეს. შესარულეს კაკასიური ბაღადა სხვადასხვა საბავშვო სიმღერები, ცეკვები: „ტვისტი“, „ვალსი“, „აჭარული“, ერთი სიტყვით ბავშვური ენერჯია ნიჭიერებად და სიცოცხლის მქვეყარე ტალღებად გადმოიღვრა სცენაზე. მოსწავლეები ქორეოგრაფმა ლანა მელაშვილმა მოამზადა. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგენანა ნიკოლეიშვილი: “გილოცავთ ბავშვებო, უდიდეს წარმატებებს გისურვებთ მომავალში, დღეს ზღვა ინფორმაციის ცოდნა წარმოაჩინეთ. ამისთვის საჭიროა უზარმაზარი შრომა, აქ ურთიერთს შეერწყა სარწმუნოების სიყვარული, პატრიოტიზმი, კულტურის, ხელოვნების ისტორიის ცოდნა. თქვენში მართლაც დიდი პოტენციალი დევს, სკოლისთვის კი არა, ქვეყნისთვის საუკეთესო რესურსს ვხედავ თქვენში“.

მაყვალა თევზაძე, სკოლის დირექტორი: “ზემოთქმულს ვერაფერს დავამატებ, ნესტან მასწავლებლის შრომა დასაფასებელია, მისთვის არ არსებობს არავითარი სირთულე, მისი მოსწავლეები საუკეთესოდ გამოხატავენ ნესტან მასწავ-

მეხუთე კლასში გადავიდნენ...

...დრო გადიოდა, წლები წლებს მისდევდა, საუკუნე საუკუნეს. წუთისოფლის ბრუნვა გრძელდებოდა და აი, ჩვენც მოვედით, მოვედით ახალი თაობა წინაპრების ნაკვალევზე. მოვედით დიდი ილიას, ვაჟას, აკაკის შვილები. მოვედით და გაბრძობით, რომ ქართული გენი, ქართული ჯიშო, ქართული სიტყვა არ გადაშენდებოდა.“ — და კიდევ ბევრ მსგავსს ამბობდნენ ის გოგო-ბიჭები, მეოთხედან მეხუთე კლასამდე ერთი ზაფხული რომ ამორებთ, მხიარულად გასატარებელი. ისინი მეთორმეტე საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან და მათი პირველი მასწავლებელი ქვეყნად ყველაზე თბილი და საყვარელი ნატო მასწავლებელია. თავად თქვეს ასეთია ჩვენი ნატო მასწავლებელი და იქედან გავიგეთ ეს ამბავი. ოთხი კლასი, ანუ სკოლის პირველი საფეხური დაასრულეს. ძალიან ლამაზი და შინაარსიანი ღონისძიებით აღნიშნეს ეს ამბავი. ნამდვილი არტისტებით იქცეოდნენ, სცენას ერგებოდნენ, შესხენებაც არ დასჭირვებიათ სად რა ეთქვათ და როგორ მოქცეულიყვნენ. ცეკვა-აედნენ დახვეწილი მოძრაობებით, მღეროდნენ, როგორც სპეციალისტები იტყვიან, “სუფთად.” კარგი კლასიაო, ჩურჩულებდნენ საცქერლად მოსული პედაგოგები. იმდენად გადამდები იყო მათი ცეკვა-სიმღერა, რომ დარბაზი აიყოლიეს და დიდი თუ პატარა აამღერეს.

და განა მართო ცეკვა-სიმღერის გამო, შეფასება კარგი კლასი ზედგამოჭრილია ამ ბავშვებისთვის, რადგან საპროგრამო მასალის საფუძვლიანად ცოდნა აშკარად ეტყობოდათ. მშობლიური ანბანის საიდუმლოს დიდ ხანი არ არის რაც ეხიარნენ. მიუხედავად ამისა, გამართული მეტყველება, დღეს არათუ ამ ასაკის, არამედ ზრდასრულებისთვისაც პრობლემა რომ არის, მათ წიგნთან მეგობრობაზე მიუთითებდა. ღონისძიების მთელი ამგვარ მომზადებაში რომ პედაგოგის დამსახურებაა, უდავოა. ნატალია ადგიშვილის პროფესიონალიზმზე ხმამაღლა და ბევრი შეიძლება ისაუბრო. ნაზს უსვამენ კიდევ ამას მშობლები და კოლეგები. ხოლო მისი მოსწავლეები ამის ყველაზე კარგი დასტური არიან.

მეთორმეტე საჯარო სკოლაში დიდფანჯრიან დარბაზში ლამაზი სანახობა გამართა. მეოთხეკლასელები უკვე მეხუთეკლასელები გახდნენ შესაფერისი ცოდნით და კარგი კლასის სახელით. “თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა კარგი ბავშვები არიან. სამი წელი ჩიტებს ვეძახდი, წელს გვრიტებზე გადავედი. მადლობა მათ, ასე რომ გაიბამაწეს ეს ოთხი წელიწადი. მადლობა მათ მშობლებს. გზას გილოცავთ ჩემო საყვარლებო, წარმატებები არ მოგკლებოდეთ!” — ნატალია მასწავლებელმა ამ სიტყვებს სიურპრიზი მოაყოლა, უგემრიელესი ტორტი, რომელზეც მეოთხეკლასელებმა მეხუთეში გადასვლის სიმბოლოდ სანთელი “4” ჩააჭრეს.

ასე სულის შებერვით გაილია სკოლის ენოში შებიჯებიდან პირველი ოთხი წელიწადი. ბავშვობა გრძელდება, ამიერიდან სასწავლო კიდევ ბევრი აქვთ. მერე კი დაბრძენებულები დარეკენ სკოლის დასრულების ბოლო ზარს და ნატალია მასწავლებელს პირველი მასწავლებლის სიყვარულით დაუტოვებენ გულწრფელი ბავშვური სიყვარულის ნაწილს.

თბაკაშვილი



შეს სხივად შეიქმნებიან

მუსიკა ჩაერთო. რიგრიგობით მიესალმნენ საცქერლად მოსულ მშობლებსა და პედაგოგებს. იმ პატარებსაც, ჯერ ისევ საბავშვო ბაღის საქანელებიანი ეზო რომ გადმოჭრეს მათთან შესახვედრად. მე-10 საჯარო სკოლაში დიდი ზეიმი იყო. ახალი სასწავლო წლიდან აფრიალებულ სკოლის კედლებს მათი ხმაც აანბინანეს, თუმცა, უკვე ისინი მეხუთეკლასელები იქნებიან. ახლა კი, კიდევ ერთი სასწავლო წელი გახდა მშობლიური სკოლის ისტორიის საკუთრება და ამ ისტორიაში ისინი მეოთხეკლასელებად ჩაიწერნენ. პედაგოგმა ქეთევან ახალაძემ პირველივე კლასიდან ჩასვლიდა ხელი ამ გოგო-ბიჭებს. მას მერე ოთხი წელია, ერთად შლიან და ხურავენ წიგნებს, ბოლომდე გადაფურცლეს “დედაენა” და იმ დარბაზში ღონისძიებებზე ყველაფერს ერთად მოუყარეს თავი. არტისტობა? — აქ



უნდა გენახათ! განსაკუთრებით ბოშაქალობას მორგებულმა თვალხატულა გოგონამ შესძლო უღარდლად გაეცინებოდა დარბაზი ამ დარდიან დღე-ვანდღობაში. ერთი შეხედვითვე ეტყობოდათ, რომ მზეს სხივად შემატებოდნენ ცოდნის ტაძარში. სიყვარულში გულწრფელად გამოუტყდა ყველა მათგანი ქეთინო მასწავლებელს. მასაც ცრემლმა მოუსწრო გამომშვიდობებისას. თუმცა, იქვე იმათ მიესალმა, ახლომდებარე საბავშვო ბაღიდან რომ მიუსხდებიან მე-10 საჯარო სკოლის მერხებს. ქეთევან ახალაძის აღსაზრდელებმა დირექციისგან სიგელები დაიმსახურეს. თუმცა, სკოლის ჯილდოსთან ერთად მათ ის სიგელებიც გადაეცათ, ამ ოთხი წლის მანძილზე საკუთარი წარმატებებით რომ შემკატეს სკოლის მატანეს. პედაგოგმა კი ყველა მათგანი წიგნებით დააჯილდოვა და კიდევ ერთხელ დაულოცა გზა. კეთილი სურვილები სკოლის დირექტორისგანაც გაკვავდა. თამარ თევზაძე ამბობდა: “მადლობა ქეთინო მასწავლებელს, ასე კარგად მომზადებული ბავშვებით რომ განზარდა სკოლის მოსწავლეთა რიცხვი. მადლობა მათ მშობლებს, ჩვენთან ერთად მონდომებისთვის. გზა დაგეგმილია, ბავშვები, მეტი წარმატებების მისაღწევად. ახალ სასწავლო წლამდე გემშვიდობებით, მერე კი ერთად ჩავეხვეთ სწავლის ფერხულში.”

ერთი წელიც მითვალა სკოლის მარადისობა. მეოთხედან მეხუთეში კიდევ ერთი კლასი გადავიდა სახელოვანი ესტაფეტის გასაგრძელებლად.

თბაკაშვილი

ქორე პეჩი აქვთ საჯარი...

ნათია ნაცვლიძე

“გადაცემა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ” – “ნიუსის” საუკუნეში თითქოს კიდევ ერთი “ნიუსი” მოსაბეზრებელი უნდა იყოს, ისიც სკოლის კვლავლებში, მოსწავლეების მომზადებული, მაგრამ, არა, ბატონებო, ეს მეოთხეკლასელთა მიერ მომზადებული ორიგინალური საინფორმაციო გამოშვებაა, პირველი საფეხურის დასრულება აღინიშნეს პედაგოგ ნონა ჯინჭარაძის მოსწავლეებმა. ნიჭიერი, თბილი, კეთილშობილი ქალბატონი დედობრივ შრომუნებლობასთან ერთად უნაჩილებდა ცოდნას ამ პატარებს და ამიტომაც, ეხველება მათთან ვანშირება. მისმა პატარებმა ნინა მასწავლებლის, ინგლისურის პედაგოგის ანუკია ბუაძისა და მუსიკის პედაგოგ სოფო ახოზაძის თანადგომით შექმნეს შესანიშნავი წარმოდგენა შეთავაზებინათ დამსწრეთათვის.

პატარებმა ჩაწერეს ინტერვიუები სკოლის დირექტორთან, სასწავლო ნაწილთან, სკოლის კურსდამთავრებულ ღირსეულ ადამიანებთან, პირდაპირი და “ნამჭრელი” კითხვები ნინა მასწავლებელსაც მოუზადეს. უკვე ისტორიად ქცეული ის კადრებიც შესთავაზეს მაყურებელს, 4 წლის წინ სკოლაში მათ შემობრძანებას რომ ასახავს და მათ ცრემლიან თვალებს რომ ინახავს.

“ნიჭიერი, შრომისმოყვარე, სამართლიანი დირექტორი ხართ, პატარა პატარა სისუსტეები გაქვთ?” – ჰკითხეს ქალბატონ ხათუნა ფაილაძეს მოსწავლეებმა.

“ჩემი სისუსტე ჩემი მოსწავლეებია. გზა დაგელოცით პირველებო პირველობისაკენ”. დევიზად ქცეული ეს სიტყვები გაუშვირა მან თავისი სკო-

ლის აღსაზრდელებს. იმ სიკეთებზე ისაუბრა, რასაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს. ესენია: ჭიდაობის უფასო წრე სკოლაში, მათემატიკის გაძლიერებული სწავლება, წარმატებით მიმდინარეობს ინკლუზიური განათლების პროგრამა და თბილისის 182-ე სკოლასთან მეგობრობა.

თანამედროვე, როგორც ევროპული, ისე ქართული ცეკვები, ევროპული ცეკვები ჭორა პაქსაშვილმა და ქრისტინე ზაქარაძემ მოამზადებინეს პატარებს, ქართული კომპოზიტორების სიმღერები კი სოფო ახოზაძის ხელმძღვანელობით მომზადდა და იმღერეს. პედაგოგმა სიყვარული პატარებს სიმღერით გამოუხატა და დაარიგა: “გახსოვდეთ, რომ მომავალში უნდა გახდეთ უფრო კარგები”. მადლიერმა მოსწავლეებმა კი პედაგოგს სიმბოლურად ვარსკვლავიც გაუხსნეს. მშობლებიც აქტიურად ჩაერთვნენ ღონისძიებაში. ისინი რესპონდენტების როლშიც მოგვევლინენ და გვიმღერეს კიდევ.

პატარებმა არც იუმორი დაივიწყეს, არც ამინდის პროგნოზი. მერე პირველ კლასში შემსვლელი პატარები მიიწვიეს, რომელთაც შესანიშნავი ლექსები წარმოთქვეს.

ღონისძიებას მალაღი შეფასება მისცეს საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლებმა და მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსმა, თინა ხარშიანმა. პედაგოგმა უამრავი შექება დაიმსახურა.

ამავე სკოლის მეოთხეკლასელთა გამოშვების საღამოზე პედაგოგმა რუსიკო წიქვაძემაც მიგვიწვია. ეს შესანიშნავი ქალბატონი პატარების სამსახურში დიდი ხანია იხარჯება და ბუნებრივია, სიყვარულსაც ღირსეულად იმსახურებს. პატარებმა საინტერესო და მრავალფეროვანი რეპერტუარი შემოგვთავაზეს. დომენტი შანიძის სახელობის მუსიკალური სკოლის მოსწავლეს ნინო ჭავჭავაძეს ვოკალის პედაგოგი ოპერის მომღერალი, რამაზ კუბლაშვილი ამეცადინებს. ნინომ “ბოლერო” და “სანტალუ-

ჩია” შეასრულა და ოვაციები დაიმსახურა. თანამედროვე ცეკვა “პიპ-პიპი”, ცეცხლოვანი ესპანური ცეკვა და სახალისო იუმორისტული ნომრები ურთიერთს ენაცვლებოდა. კავკასიური ბალადა მოსწავლეებმა მშობლებთან ერთად შეასრულეს. შესრულდა აპოლონის სიმღერა სპექტაკლიდან “ჯერ დაიხორცენ, მერე იქორწინეს”.

ქორეოგრაფიული ნომრები თინიკო ღუნდუამ დადგა, ღონისძიების მუსიკალურ ნაწილზე კი პედაგოგმა სოფო ახოზაძემ იმზარა, რომელსაც პატარები განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით მოეფერნენ. ასევე ინგლისურ ენაზე გვესაუბრნენ მოსწავლეები ცხოვრების ჯანსაღი წესისა და ჯანმრთელი საკვების უპირატესობაზე. შესანიშნავი ქართული პანგები თიკო ღვინერია, ნინო თევზაძემ და სხვებმა ააჟღერეს.

“ტკბილია ეს განშორებაც და მწარეც, არ გეშვებოდებით, გეუბნებით ნახვამდის!” – მიმართა ერთერთმა მადლიერმა მშობელმა რუსიკო მასწავლებლს და დღევრძელობა და სიკეთე უსურვა.

“ქედს ვიხრი თქვენი ღონისძიების, პედაგოგიური ღვაწლის წინაშე. მეამაყებით, გილოცავთ დღევანდელ დღეს, პირველი სკოლის ამგდარ პედაგოგთა შორის ბრძანდებით, ეუფროთეები ყველა თბილ სიტყვას თქვენდამი წარმოთქმულს და მე-100 ხარისში ამფავს ისინი”. – მიმართა სკოლის დირექტორმა, ხათუნა ფაილაძემ პედაგოგს და მოსწავლეებს წარმატება უსურვა.

“მადლობა პედაგოგებს, დირექტორს, ბავშვებს, მშობლებს, რომ №1 სკოლის სადარი ღონისძიება ვნახე. მადლობა ქალბატონ რუსიკოს, რომ წარმოადგინეს დაწყებითი საფეხურის დასრულება, ორიგინალურად, დამაჯერებლად, მალაღი ხარისხით”. – განაცხადა საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოადგილემ, პედაგოგმა ალექსანდრე თევზაძემ.



ჩვენ გზის დახატაპი...

წლებანდელ კურსდამთავრებულთა, მოწინავე მოსწავლეთა ნახატების გამოფენას უმასპინძლა 16 ივნისს ააიპ სამხატვრო სკოლა-გალერეამ.

ეთერ კაცაძე, ლიზი ხუჭუა, ქრისტინა თოთაძე, გვანცა მალაყელიძე, ტარიელ ანდლულაძე, ლილე ადიშვილი, ნინო ტყემლაშვილი სკოლის კურსდამთავრებულები არიან, დღეს აქ მათი ნამუშევრები გამოიფინა და მოწონებაც დაიმსახურეს.



გამოფენის მონაწილენი ინტერესით გაეცნენ აგრეთვე, სკოლის V-VI კლასების მოსწავლეების: გურამ ტრაპაძის, რუსუდან ახოზაძის, მარიამ ჯოჯუას, გიორგი ქეთარაძის, თორნიკე ტაბიძის, გივი ცინცაძის, ნინო შანიძის, ზურაბ გერაძის ნამუშევრებს.

– დღევანდელი დღე ექვსწლიანი ნაღვაწის შეფასება, შეჯამებაა, მადლობა მინდა გადავუხადო გამოფენის სტუმრებს, სკოლის პედაგოგებს: შზია ხუჭუას, ელგუჯა ახოზაძეს, იაკობ ჩხაკაძეს, მარინა ყენიას, ფატი ზამთარაძეს, ქრისტინა მიგინიშვილს, თონა გეგუჩაძეს, მოსწავლეებს, კურსდამთავრებულებს დღევანდელი დღისათვის, მიმართა შეკრებილი სკოლა-გალერიის დირექტორმა, ქალბატონმა ნინო ნინუამ.



ტარიელ ანდლულაძე ღანიის საჯარო სკოლის მოსწავლე, სამხატვრო სკოლის კურსდამთავრებულაა. აქ მისი ნამუშევრებიც გამოიფინა, მომავალში მხატვარი მინდა გახდეს, გვითხრა და სამადლობლო არ დაიშურა სამხატვრო სკოლის პედაგოგებისადმი.

მხატვრებმა იაკობ ჩხაკაძემ, გივი წვერავაძემ აღნიშნეს, რომ წლებანდელი კურსდამთავრებულები განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ სხვებისაგან.

ნინო ტყემლაშვილის ნამუშევრებით განსაკუთრებით დაინტერესდა ცნობილი მხატვარ-კარიკატურისტი ბეჟან გოგია.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა გიორგი ლეჟავამ, გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ, გამგებლის მოადგილემ ლიზა კრავიშვილმა მადლობა უთხრეს სამხატვრო სკოლის დირექტორს, პედაგოგიურ კოლექტივს, მოსწავლეებსა და გამოფენის მონაწილეებს კიდევ ერთი ლამაზი დღისათვის.

მხატვრებმა იაკობ ჩხაკაძემ, გივი წვერავაძემ აღნიშნეს, რომ წლებანდელი კურსდამთავრებულები განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ სხვებისაგან.

მიკლიპარტი და გული გუნჯდება

ბალი არ დაგვავიწყდება, ამ გულსამაჩუყებელი სიტყვებით დაემშვიდობნენ 11 ივნისს ქალაქის პირველი ბაგა-ბაღის გამოსაშვები ჯგუფის აღსაზრდელები მშობლიურ კვლავებს, მათზე უზომოდ შეყვარებულ მასწავლებლებს, აღმზრდელებს.



ლამაზად მოურთავთ დარბაზი. ცეკვით იმოგზაურეს მსოფლიოს გარშემო, მოხდენილად შეასრულეს მსოფლიოს ხალხთა ეროვნული ცეკვები ცეროდენა გოგო-ბიჭებმა, ცეცხლოვანი “აჭარული” ლამაზი “ქართულით” მოიწონეს თავი.

მერე გმირი წინაპრები მოივინეს, ისიც თქვეს, თურა დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს ისტორიაში ფარნავაზ მეფემ, წვრილა ხმით უმღერეს საქართველოს მარად დათოვლილ მთებს, მოჩუხჩუხე მდინარეებს, მორაკრაკე წყაროებს... ერთი სიტყვით, იმ ლამაზ დღეს პატარები მამულს ერთგულებას ეფიცებოდნენ პატარა წრფელი გულებით.



ღონისძიებაზე შესანიშნავად წარმოჩნდა იმ დაუღალავი შრომის საუკეთესო შედეგი, ამ დღის სახეიმიდ აღნიშნისთვის რომ გასწიეს აღმზრდელმა თიქრია სინატაშვილმა, მუსიკის მასწავლებელმა ნათია ბოჭორიძემ, ძიძამ, ია ქობულიამ და აღმზრდელის თანამშემწემ, ირმა კრავიშვილმა.

ბაგა-ბაღის მმართველმა მარინე შენგელიამ გზა დაულოცა პატარებს, მადლობა უთხრა თანამშრომლებს, მშობლებს თანადგომისათვის და გამოსაშვები ჯგუფის თითოეულ მოსწავლეს სამახსოვრო ალბომები გადასცა.

პატარებისადმი კეთილ სურვილებს შეუერთდნენ სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელი ხათუნა ახოზაძე და მეთოღისტი ნანა კორძია.

მივივიართ და გული გეწყდება, ბალი არ დაგვავიწყდება! – ისმოდა პატარების წვრილა ხმა.

ლევან ბაბუჯა

ლევან ბაბუჯა

წილის შედეგად

წილა გაჩერდა, თითქოს შეწყვიტა ომი მიწასთან, და შუადღე ახლა სხივზე გაფენილი საღამოს იშრობს, ცისარტყელა თავსაფარივით ფრიალებს ისე, ციდან მანდილი ჩაეგდოთ თითქოს.

სინათლე როდი შემოვიდა, უბრალოდ მზემ დირიჟორივით თავისი ოქროს ჯოხიანი ხელი ჩამოაქნია ახალი სიმფონიის დასაწყებად...

კიარ დაღამდა, უბრალოდ მზემ თვალი გაგაყოლა...

ამდარი

ქარმა დაარტყა მოწყვეტილი უცებ ზეცას თავისი უხეში ხელი და ჩაუშავა ღრუბლით თვალები, ეტკინა ძან და დაღვარა ცრემლი...

ეს გაზაფხული მინდვრის ორღანზე მუსიკოსივით უკრავს ყვავილებს, და სიყვარული გულის ზმაურით უკეთებს ლამაზ აკომპანემენტს.

გაეღიმა, მთელი ეზო აყვავილდა უცებ, ო, რა ცოტა სჭირვებია ამ ეზოს და ამ მიდამოს თურმე!..

დარდიან ღამეს ტუჩის კუთხეში ღიმილად სინათლე აუთამამდა.

ჩემი გულის ძგერა

მაგონებს თოხნას, ალბათ, თუ თოხნის სიცოცხლეს ჩემსას რომ ყვავილებად, შენ გამოვიხსნას...

ყველა წილა უცებ გაწყდა ზეციდან, მარტს რომ მიუბამს წვრილი ძაფებით, ნორჩი ყვავილები წილაში ისე გამოქცეულან, თავზე წაუკრიათ პაწაწინა ყვითელი თავსაფრები.

ჩაყრილი მტვერი რამდენი მიაქვს ცხენისწყალს ზღვამდე, ამ ჩვენი მიწის, ამ ჩვენი მიწის მთროლვარე ძარღვებს, როგორ ჰგავს, როგორ, მდინარე ძარღვებს, გულამდე მიზრდილს ვინმესგან ჩაყრილს სიბინძურეს წყველას თუ ტკივილს!

მიწვა როგორღაც ფური დაღლილი და თვალებს თითქოს უსიზმროდ ნაბავს, ცას ნამგალივით უჭირავს მთვარე და ნელა-ნელა სიცხადეს კაფავს. აუწერელი მშვენიერებით, ისე მტრედისფრად ირთვება ღამე, და ჩემს ძილისგან მოპარულები დედის სიზმრებით ივსება მთვარე. და მე უნიჭო პოეტი ესე, სხვა ღამეებში თუკი მივალწევ, დედის სიზმრებით ავსილი მთვარე უკუნ ღამეში გზას გამინათებს...

ჯვარედინი რითმა

ჯვარედინი რითმა, ჯვარედინი მტვერვა, ფუტკარი კი ნექტრით ბაიბთან მივა, ისე როგორც მთაში, აქ იცოდნენ როგორც, გოგოს უყვარს ვაჟი და ვაჟს უყვარს გოგო.

მინიატურა

ხან იები ხარ, ხან გვირილა, ხან ბაბუაწვერა, ხან ჭინჭარი, ხან უბრალო ბალახი მწვანე. ერთად კი პატარა ჩერო ხარ ჩემი ეზოსი, ბავშვობიდან რომ მიყვარდა აქ ყველაფერი...

პრემია თოვლისა

ღია აკადემიურ კონსერტზე

სამტრედიის მეორე სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა ღია აკადემიურ კონცერტს უმასპინძლა 17 ივნისს მუნიციპალიტეტის ხელოვნება დარბაზში.

პედაგოგმა მარინა ახოზაძემ თბილისში დატრიალებულ ტრაგედიას მოკლედ ისაუბრა, სკოლის სახელით მან მწუხარება გამოთქვა მომხდარის გამო.

სკოლის მოსწავლეებმა: მარიამ ნიკურაძემ, ლევა შენგელიამ, სალომე სულავამ, ლუკა ქორიძემ, მარიამ ტონიამ, ამირან სულაბერიძემ, ანა ლევაძემ და სხვებმა ბრწყინვალედ შეასრულეს ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა მუსიკალური ნაწარმოებები.

განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად ფოლკლორულ ჯგუფ “საპოვნელას” გამოსვლას, ხელმძღვანელი პედაგოგი ლელა გოლიაძე, მათ ხალხური სიმღერები შეასრულეს.

აღსანიშნავია, რომ კონცერტში მონაწილე ყველა მოსწავლე გახლავთ სხვადასხვა კონკურსში გამარჯვებულები, დიპლომანტები.

საბოლოო ხელში საგალობლები შეასრულეს ბოლოს ღია აკადემიური კონცერტის მონაწილეებმა.

ამ დღეს კარგად წარმოჩნდა იმ შრომის საუკეთესო შედეგი, რასაც მოსწავლეთა პარმონიული აღზრდისათვის ეწევიან № 2 სამუსიკო სკოლის დირექტორი, ნანა ქანთარია და პედაგოგიური კოლექტივი.

ლევან ბაბუჩავა



ფასდაუღებელი კვინი

ანატოლი იმონ ვარცხანიას ხსოვნას

– ექვსი ათეული წლის ამბავია, თქვენ პატარები მყავდით! – მე, ჩემს დას, მარინას და ჩემს ცხონებულ ძმას, თემურის გვეგულისხმობს დედაჩემი, – ახალი ნაყიდი გვექონდა ხონში, სოფელ პატარა კუხში სახლი. ჩვენს შეუკავებელ ეზოს პატარა მოედანი ესაზღვრებოდა. სახლის წინ, სამ მტრში ვაშლის ხე ხარობდა, უგემრიელესი თვალისმომჭრელი ნაყოფით. დილაა, კოლექტივში მიემსურება ხალხი, ხეხილის ბაღში ხილის მოსაკრეფად. თქვენ, სამივენი იქვე, ვაშლის ხის ძირში თამაშობთ, მამათქვენი სამსახურშია. სახლთან ახლოს კოლექტივის ორმა წევრმა ჩამოიარა. ერთი მათგანი გაჩერდა და მეორეს ეუბნება: – “ეს ხე კოლექტივისაა, მოდი დაგვიჩვენო!” თქვა თუ არა, ხეზე აძვრა და ვაშლის კრეფა დაიწყო. მე ვდგავარ და დამუნჯებული შევცქერი ამ სანახაობას, წინა დღით ქვით აშენებული ღობე დაგვიჩვენებს, კოლექტივისაო, ქვა გვეჭირდებაო და ურმებით გაზიდეს იგი.

ერთი სიტყვით, – გულისტკივილად გადაქცეული მოვლენები. თითქმის ახლად გაშენებულ ბოსტანში თხას აძოვებდნენ. ჩვენ კი იმის უფლებაც არ გვექონდა, გადაგვედინა.

ამასობაში, კიდევ ერთი კაცი მიუახლოვდა ვაშლის ხეს და ცივად მიმართა ამხანაგს: – “ჩამოდი, ბიძა, ძირს, ჩამოდი!” უხალისოდ ჩამოვიდა ძირს ყმაწვილი კაცი და მოსარჩლეს შეეპასუხა: – “რა იყო, პანტელეიმონ ბიძა, ვაშლის ხე, განა, კოლექტივის არ ეკუთვნის?!”

“შეიძლება, კიდევ ეკუთვნის ბიძა, მაგრამ, ჯერ ერთი, არავის დაუვალავია შენთვის ეს საქმე და ესეც რომ იყოს, მაშინაც, მორიდება გმართებს. მე რე – გახედე ამ ბავშვებს!” თქვენსკენ მიუთითა და გზას გაუყენა.

გავიდა დრო, მიწა მოგვიმატეს. ვაშლის ხე ჩვენს საკარმიდამო ნაკვეთში მოექცა, ეზოც შემოვლობეთ. გემასოვრება, ალბათ, რომ წამოიზარდე. ასე, თორმეტი წლის იქნებოდი, ამის შესახებ შენ მოგიყვები. ინტერესით მომისმინე და ფითხე: – “სად ცხოვრობსო ის კაცი?”

“წყალტუბო-ქუთაისის გზის გასაყართან-მეთქი”, – გითხარა.

არ ყოფილაო ჩვენგან შორს, – ჩაილაპარაკე. დავრთვე საუკეთესო ვაშლები და გზას გაუდექი, აცრემლებულხარ, ვაშლები რომ მიგიერთმევია. ფასდაუღებელი ძღვენი მივიღეო, უთქვამს რომ გაუგია შენი ვინაობა და განზრახვა, შენც გახარებული დაბრუნდი შინ. ფარცხანია ყოფილა გვარად, მოიჭანე ამბავი”.

დედაჩემსაც, ტკბილად მოსაგონებელ ამბავს რომ იხსენებდა, ცრემლი უნამავედა თვალებს. მე კი მეღიმებოდა და ვცდილობდი, ნათლად წარმოემდგინა წარსული, გულის სიხარულად რომ ამომზეურდა მესხიერებაში და სულს მიტკობდა.

დავით ჩინგაძე

გაზეთ “სამტრედიის მაცნე” რედაქცია თანაუგრძობს მერაბ სტურუას ძმის **პაატა სტურუას**

გარდაცვალების გამო.

ბეჟან გოგია ოჯახით თანაუგრძობს მერაბ სტურუას ძმის **პაატა სტურუას**

გარდაცვალების გამო.



საუკეთესო ტიპაჟი "ლარიენიდან"

მხიარულთა და საზრიანთა კლუბებს შორის გამართულ რეგიონალურ სასკოლო ლიგას უმასპინძლა ამას წინათ ქუთაისში, რომელშიც სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან 8 გუნდი მონაწილეობდა. მათ შორის იყო სამტრედიის მხიარულთა და საზრიანთა კლუბი "ლარიენი".

კომპეტენტური ჟიურის მიერ გამოვლინდა "საუკეთესო მოთამაშის", "საუკეთესო ტიპაჟისა" და "საუკეთესო მოთამაშე ბავშვის, მცირეწლოვანის" ნომინაციებში გამარჯვებულები.

სასაიმოვნოა, რომ ნომინაციაში "საუკეთესო ტიპაჟის" მოთამაშე გამარჯვდა ვუნდ "ლარიენის" კაპიტანმა ზიკო ჯინჭარაძემ, რომელიც ქობულეთში 10 დღიანი საბუნო დაჯილდოვდა. ამ დღეებში ზიკო ჯინჭარაძის სახელზე კიდევ ერთი სერტიფიკატი გაიცა, რომელიც ადასტურებს, რომ მან მონაწილეობა მიიღო "სამართლებრივი განათლების პროგრამის" კომპონენტში "თანატოლთა სამართლებრივი განათლების კლუბები" და გამარჯვდა ნომინაციაში "სოციალური მედიის სპეციალისტი".

ვულოცავთ ჩვენს თვალწინ დაეკაცებულ ნიჭიერ ახალგაზრდას წარმატებებს. წელს ზიკო აბოტურინენია, ოცნებათა ხორცშესხმას, მიხნების განხორციელებას, საკუთარი შესაძლებლობების რეალზებას ვუსურვებთ მომავალ კრიმინალისტს.

ლევან ბაგრაძე

ბევრი როლი ითამაშე და შექმენი დიდი სპექტრი, ამიტომაც ნაღდადა ხარ თეატრის და კინოს მეტრი!



მეფე-პოეტის საუფლოუი...

მართალია, ვერ ამ პატარებმა არც იმ "ცერიანი ბაღახის" ფასი იციან, ახლა რომ პირველად დაადგეს ფეხი, და არც იმ გენიოსისა, ვის სახლ-მუშეუმსა და კარმიჯამოსაც ეწვივნენ, მაგრამ ჭკვიანობა მათი სტუმრობა მათი ლამაზი ბიოგრაფიის ულამაზეს ეპიზოდად უთუოდ იქცევა. მე-4 ბაღის აღსაზრდელებმა, რომლებიც სექტემბრიდან სკოლის მერხებს მიუხედავად, ბაღის დასაზრდელებმა ჭკვიანობა იმედიან. პედაგოგმა, ნინო რუხაძემ თავის აღსაზრდელებს ძალიან ლამაზი დღე არუქა ამ საინტერესო გადაწყვეტილებით, პატარები ვერ სახლ-მუშეუმის დარბაზში გამოფენილ ექსპონატებს ვაეცენ. რამდენადაც შეძლეს, იმდენად აიქვეს მეფე-პოეტის ცხოვრების დეტალები, რასაც მათ ექსკურსიამძღოლო აცნობდა. მერე ვალაქტიონის უბრალო ფიცრულ ქოხს ეწვივნენ, მის კერაზე შემოღებულ კარდალითაც დაინტერესდნენ და მეფე-პოეტის აყენითაც.

ქართული მხედრობა ეზოს მოეფინა. ჯარისკაცების ფარავანში გამოწყობილ პატარებს წინ ბაღის გამგე, როგორც პედაგოგები ხუმრობენ, ბაღის თავდაცვის მინისტრი, ნანა ღუნდუა მიუძღვის და პირობას ადებინებს პატარებს, რომ დაიცავენ საქართველოს. მცხუნვარე მხეც აჭერს, რიონის პირიდან ქარიც ქრის, "ღარ ცხრებიან ჭკვიანობა ქარები"... ნანა ღუნდუა გალაქტიონის ლექსებს ჰყვება და ემოციური მუხტი მშობლებსაც და პატარებსაც გადაეღობ.



ესპანური, ბოშური, ქართული ცეკვები და სიმღერები

მთელი ცეცხლოვანებით, განცდით და ემოციით შეასრულეს. ნინო მასწავლებელმა დალოცა ისინი, ბედნიერი მომავალი უსურვა, მერე ბუდიდან აფრენილ ამ პატარა ბარტყებს სიგელები გადასცა და ლოცვა გააყოლა მომავლის გზაზე. ერთ-ერთი იუბილარი აღსაზრდელი ხატით დაასაჩუქრეს პედაგოგებმა. ღონისძიების მუსიკალური ნაწილი კი პედაგოგმა ლელა გოლიაძემ მოამზადა. ასევე გვერდით ედგნენ ელისო დახუნდარიძე და თათია გიორგაძე, ვერც ნანა ღუნდუამ და ვერც ნინო რუხაძემ უტრემლოდ ვერ გააცილეს ბაღიდან პატარები.

პედაგოგებსა და ბავშვებს დღის გალამაზებისათვის მაღლობა გადაუხადა სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების მეთოდისტმა, იზო ხუჭუამ, ის ადრეთივანებული დარჩა იმ დღით. შთაბეჭდილებით დაიტვირთნენ მუხეუმის ღირექტორი ფერიდე მატარაძე და ექსკურსიამძღოლო ელენე მამფორია. პატარებს მათ მომავლის გზაზე წარმატებები უსურვეს.

დავემშვიდობეთ "გალაქტიონის ბავშვობის ტაძარს, გალაქტიონის ლანდებს და ჩრდილებს". ეს პატარები ხომ სწორედ იმ ხნისანი არიან ახლა, რა ხნისაც გალაქტიონი იყო, როცა დედამ, მკერძზე ადვილივით, ხელმოკლეობისა და გაჭირვების მიუხედავად მაინც შეძლო და პატარა გატუნია ხარ-ურმით ქუთაისის ვიშნაზამდე მიიყვანა... წლების შემდეგ კი იგი ჭკვიანობის ბილიეებს მეფე-პოეტად და პოეტ-აკადემიკოსად დაუბრუნდა...

ვუსურვებ ჩვენს პატარებს, მათშიც გაებრწყინებინოს ელვარე ნიჭს დიდი ქართველებისას...

ნათია ნაცვლიშვილი

მალბატონ ნათია ბაგრაძის!

გული ნაბიჯს კარნახობს და სადაც არ უნდა მივდიოდე, მაინც ამ შენობის წინ ვარ. პირველ სართულზე ფანჯარას ვაკვირდები: ღიაა? ფარდა შრიალებს?.. და მოდის სიხარული, სიხარული მასთან შეხვედრისა, საუბრისა, სულის დაკანებისა.

ამ ფარდის მიღმა ქალბატონია და მას ნათელა ჰქვია, ნათელა გელეიშვილი. მშვენიერი, არჩვეულებრივი მეუღლე, დედა, ბებია. მეგობრობის განსაკუთრებული ნიჭითა და თქმის არჩვეულებრივი ძალით დაჯილდოებული ქალბატონი. იგი თაობათა ქალბატონია და განაბევრია ასეთი!

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩემო დილო მეგობარო! ჯანის სიმრთელე, ბედნიერება და სიხარული არ მოგაკლოთ უფალმა თქვენი ლამაზი ოჯახით.

ფიქრს აცოცხლებს სიხარულის განცდა, იმედა თეთრი ფარდის მიღმა, ერთგულება, სიყვით და სიბოლო ერთობად გიბრუნდება ღვთისგან.

მამკალ ბიგრაძე

მალბატონ მზებინარ ბონას!

დაბადების დღეს გილოცავ, ჩვენო საყვარელო ძვირფასო ქალბატონო, როგორც ერთგულ და თავდადებულ მეგობარს, ღირსეულ სამტრედიელს, დიდი იუმორის პატრონს, შესანიშნავ დედას და მეუღლეს. გისურვებთ სიხარულს, ბედნიერებას, ღვთის წყალობას და იმ დიდ უღვევ ენერჯის, რაც გაგანია საზოგადოების საკეთილდღეოდ. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაბიეროთ მეუღლესთან და უსაყვარლეს დედისერთა ვაჟთან, აჩიოსთან ერთად.

დიდი სიხარულით "სახლი თხაგაგონას" თხაგაგონაში!

მზებინარ ბონას!

ჩვენო მზეო, სიყვარულით და დიდი პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ, ქალურ ბედნიერებას და ხიბლი არც მომავალში მოგკლებოდეს. ჩვენო ენერჯიულო, მუდამ მოფუსფუსე და მოყვასის მოყარული ქალბატონო, ერთგული ადამიანების გარემოცვაში გეცხოვროს და გალამაზებული გამყოფის მუდამ უფალმა.

შენი მამობრაძე

მალბატონ მზებინარ ბონას!

დაბადების დღეს გილოცავთ და მრავალს დაესწართ. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს როგორც პირად, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში.

"სამტრედიის მაცნე"



გვანცა სანაძის!

ჩვენო გვანცუკა, სიყვარულით სავე გულით სიყვარულით სავე გოგონას დაბადების დღეს გილოცავთ. ჩვენო ძვირფასო, 25 წელია, უშურველად ასხივებ სიბოლოს და ვვლა ახლობელს შენი არსებობით აბედნიერებ. გახარებული, გალამაზებული გვეყოლე მუდამ!

"სამტრედიის მაცნე"



სალომე დიდიმის!

დაბადების დღეს გილოცავთ პატარა სალომე დიდიმე. დიდი, ჯანმრთელი და სასახელო გოგონა გაიზარდა. შენი კარგი ქალობით გაგეხარებინოს შენი დიდებული მშობლები, ბებია-ბაბუები, საყვარელი ბიძა და პატარა ძმა რეზიკო.

მრავალ დაბადების დღეს დაესწარი, ბედნიერი ბავშვობა გქონოდეს!

შენი კარგის ძლიერი მზებინარ ბაგრაძე

რედაქციის მისამართი:

სამტრედიის რესპუბლიკის ქ. №6

ტელ: 790 391839



დირექტორი ბეჟან გოგია

მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭაქაძე

გამომშვეები რედაქტორი თამაზ ბაგრაძე

პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაგრაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა მამა პაპაძე